ტურნირმა საინტერესოდ ჩაიარა. მონაწილე გუნდებმა საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლები წარმოუდგინეს რუსთაველის გამზირზე დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გასულ მოქალაქეებს. ტურნირის დასრულების შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომელმაც სპეციალური თასი ჩაიბარა.

BASKETBALL TOURNAMENT DEDICATED TO INDEPENDENCE DAY

Among the celebrations, related to the Independence Day of Georgia held in Rustaveli Avenue, Basketball tournament took a significant place.

Georgian Basketball National Federation regularly manages the tournament on Independence Day and so was the last year too: in front of the hotel "Tbilisi Marriott", the basketball court was built on Rustaveli Avenue and anyone interested could register and participate in the tournament.

The tournament turned out to be quite interesting. Participating teams presented tense battles to viewers. After the end of the tournament the winner team was awarded with a special cup.





სპორტული ფესტივალი „თბილ-ლისი“

ლისის ტბაზე, სპორტული ფესტივალი „თბილ – ლისი“ გაიხსნა, რომლის ფარგლებში 3X3 კალათბურთის ტურნირი ჩატარდა.
ფესტივალი თბილისის მერიის ორგანიზებით იმართება და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას და მოქალაქეების დასვენების, გართობისა და სპორტული აქტივობისთვის საჭირო გარემოს შექმნას.

SPORT FESTIVAL „TBIL-LISI“

On the Lisi lake the sport festival "Tbil - Lisi" was opened, within which 3X3 basketball tournament was held.
The festival is organized by Tbilisi City Hall and aims establishing a healthy lifestyle in young people, development of mass sport, promotion of different types of sports and creating environment for fun, recreation and sport activities.





სპორტის საერთაშორისო დღე

14 აპრილს, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა დევიზით: „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“; „იცხოვრე სპორტით თამბაქოს გარეშე“.

ღონისძიებაში სპორტის 25 სახეობის ეროვნული ფედერაცია, მათ შორის, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მონაწილეობდა.

ლისის ტბაზე სხვა სპორტულ აქტივობებთან ერთად გოგონათა შორის 3X3 კალათბურთის ტურნირი გაიმართა.

INTERNATIONAL DAY OF SPORTS

On April 14th, the Ministry of Culture and Sport of Georgia, “Sport for All” and Tbilisi Municipality City Hall in the vicinity of Lisi Lake organized the event, dedicated to the International Day of Sports, under the slogan "Sport for Peace and Development"; "Live with Sports without Tobacco".

25 National Federations including Georgian Basketball National Federation participated in the event.

Along with other sports activities on Lisi Lake, 3X3 basketball tournament was held among girls.





გაზაფხულის ფესტივალი

გასულ წელს პირველად გაიმართა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3×3 კალათბურთის განყოფილების მიერ ორგანიზებული გაზაფხულის ფესტივალი.

ტურნირი 18-წლამდელთა შორის 3 ტურად ჩატარდა და საბოლოოდ "ვაკის პარკის" გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც მოგებულისთვის დაწესებული 500-ლარიანი პრიზი მიიღო.

"გაზაფხულის ფესტივალის" დასკვნით, ფინალურ ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 4 ჯგუფში იყო განაწილებული.1 წრის შემდეგ თითოეული ჯგუფიდან პლეი ოფში 2-2 საუკეთესო გუნდი გავიდა და მეოთხედფინალში დაწყვილდა.

ფინალამდე წაუგებლად მივიდნენ და საჩემპიონო მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გუნდებმა "ვაკის პარკი" და "ელარჯი".

საჩემპიონო თასისა და მედლების გარდა გამარჯვებულ გუნდს მთავარი პრიზი – 500-ლარიანი ვაუჩერი ელოდა, ხოლო ფინალის წამგებს საპრიზო ფონდიდან 200 ლარი ერგებოდა.

"ელარჯის" ღირსებას იცავდნენ ირაკლი ნაზარიშვილი, სანდრო შანიძე, ბაჩო მარქარიანი და შაკო მეტონიძე, ხოლო "ვაკის პარკისას" – სანდრო კვერღელიძე, საბა სოხანეიშვილი, ნიკა ელიზბარაშვილი და ლევან ბოკერია.

საკმაოდ დაძაბული ფინალური მატჩი ვაკისპარკელებმა 18:14 მოიგეს და ჩემპიონები გახდნენ.

პრიზიორები და ფესტივალის გამარჯვებულები კალათბურთის ფედერაციის 3×3 კალათბურთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა – გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა.

SPRING FESTIVAL

Spring Festival, organized by 3X3 basketball department of Georgian Basketball National Federation, was held for the first time last year.

The tournament was held between the 18-year-olds and ended with the victory of Vake Park, which won the 500 Gel prize set for the winner.

12 teams were participating in Spring Festival and they were divided into 4 groups. After one round 2-2 best teams of each group went into semi-finals and paired in quarter-finals.

Vake Park and Elarji gained the right to participate in champion's match.

Besides the Champions Cup and medals, the winner team would win the main prize - 500-GEL voucher, the prize fund for the second team was 200 GEL.

Irakli Nazarishvili, Sandro Shanidze, Bacho Markariani and Shako Metonidze were playing for Elarji, while Sandro Kverghelidze, Saba Sokhaneishvili, Nika Elizbarashvili and Levan Bokeria defending the dignity of Vake Park.

Vake Park won in a quite tense final match 18:14 and became a champion.

Giga Gurgenidze – head of 3X3 basketball department of the National Basketball Federation awarded Prizemen and winners of the festival.

ბოდნისა
აუდიტორი კონცერნი

ზამთრის თასი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 კალათბურთის განყოფილების მიერ "ზამთრის თასის" გათამაშება მოეწყო. 18-წლამდელთა შორის. ტურნირმა 5 ტური მოიცვა, რომლებიც იანვარსა და თებერვალში თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა.

"ზამთრის თასი", მედლები და 1000-ლარიანი ჯილდო ფინალური ეტაპის გამარჯვებულმა "ქორებმა" ჩაიბარა, რომლის ღირსებასაც გიორგი კვაჭანტირაძე, საბა გეგუჩაძე, გივიკო გოგიტაშვილი და ოთარ პერტაია იცავდნენ. ეს უკანასკნელი ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, თუმცა აქამდე გამართული "ზამთრის თასის" ტურების გამარჯვებული და MVP არაერთხელ გამხდარა.

ფინალში "ქორებმა" "ვაკის პარკი" (ნიკა ელიზბარაშვილი, გუჯა ჯოჯუა, ლევან ბოკერია, საბა სოხანეიშვილი) დაძაბულ ბრძოლაში – 17:15 დაამარცხეს. მანამდე ამ გუნდებმა წარმატებით დაძლიეს ჯგუფური ეტაპი და ნახევარფინალი. "ქორებმა" ფინალში დიდი ბრძოლის შედეგად გააღწიეს. მომავალ ჩემპიონს LRG-მ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ "ქორებმა" 15:14 იმარჯვეს. "ვაკის პარკმა" კი ნახევარფინალში Space Jam-ი 21:8 გაანადგურა.

ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ ორივე გუნდი მედლებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის 3×3 კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა.

ფინალური ტურნირის MVP გახდა ჩემპიონი გუნდის ლიდერი გიორგი კვაჭანტირაძე, ხოლო "ქორების" კაპიტან გივი გოგიტაშვილს საჩემპიონო თასთან ერთად გუნდისთვის განკუთვნილი 1000-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა. დამარცხებულ "ვაკის პარკს" კი 500 ლარი ერგო.

WINTER CUP

3X3 basketball department of Georgian Basketball National Federation organized the Winter Cup between U-18 players. The tournament contained 5 rounds that were held at Tbilisi Olympic Palace in January and February.

The winner of the tournament – Qorebi (Giorgi Kvachantiradze, Saba Geguchadze, Giviko Gogitashvili and Otar Pertaia) got the Winter Cup, medals and 1000 Gel voucher. Otar Pertaia was not able to play due to injury, but he has been MVP and the winner of the Winter Cups many times. Qorebi defeated Vake Park (Nika Elizbarashvili, Guja Jojua, Levan Bokeria, Saba Sokhaneishvili) in a tense battle in finals – 17:15. Prior to that, these teams had successfully played in the group stage and semi-finals. LRG resisted Qorebi greatly, but finally lost the game – 15:14. Vake Park won against Space Jam 21:8 in semi-finals.

Head of 3X3 basketball department of Georgian Basketball National Federation – Giga Gurgenidze awarded both teams with medals.

Giorgi Kvachantiradze – a leader of the winner team became MVP of the final tournament. A captain of Qorebi – Givi Gogitashvili has got the Champions Cup and 1000 Gel voucher intended to the winner team. Vake Park has gained 500 Gel voucher.

adjarasport.com





3X3 კალათბურთის ფედერაციის პრეზენტაცია

3×3 კალათბურთის ფედერაცია 2018 წელს დაფუძნდა, რომლის პრეზენტაციაც სპორტისა და კულტურის სამინისტროში გაიმართა. სპორტის ეს სახეობა გასულ 2017 წელს ოლიმპიურ ოჯახში მიიღეს და 2020 წლის ტოკიოს ზაფხულის თამაშების პროგრამაშიც ცალკე დისციპლინად შეიყვანეს.

საქართველოში 3×3 კალათბურთს დიდი ტრადიციები გააჩნია. 2006 წელს დაარსდა ქუჩის კალათბურთის ასოციაცია, რომლის სამართალმემკვიდრეც ახლადშექმნილი 3×3 კალათბურთის ფედერაცია გახლავთ.

სწორედ 2006 წელს შექმნილი ასოციაციის დამფუძნებლებმა დააარსეს 3×3 კალათბურთის ფედერაცია. ესენი არიან – გიგა გურგენიძე, მიხეილ ამაშუკელი, ლევან მამულაშვილი, ბექა გოლეთიანი, მიხეილ ვართანოვი, ნიკოლოზ გოგოლაშვილი და ალექსანდრე ჟღენტი.

3×3 კალათბურთის ფედერაციის პრეზენტაციას ასევე დაესწრნენ სპორტისა და კულტურის მინისტრის მოადგილე – შალვა გოგოლაძე, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი – პაატა გურასპაული და ფიბა ევროპის ეროვნული ფედერაციების და სპორტის განვითარების მენეჯერი – წლების მანძილზე ფიბაში 3×3 კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელი – ბულგარელი კოსტა ილიევი.

საპატიო სტუმრებს შორის იყო ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, "დინამო თბილისის" პრეზიდენტი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელსაც ახლადშექმნილი 3×3 კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა – გიგა გურგენიძემ საქართველოში 3×3 კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელი გადასცა.

საპატიო სიგელით დაჯილდოვდა 12 წლის წინ ქუჩის კალათბურთის კიდევ ერთი დამფუძნებელი, ამჟამად სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი – გიორგი ზაბახიძეც, რომელიც 3×3 კალათბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი იქნება.





THE PRESENTATION OF 3X3 BASKETBALLFEDRATION

The 3X3 Basketball Federation, founded in 2018, was presented at the Ministry of Culture and Sports of Georgia. This sport was joined to the Olympic family in 2017 and was set as a separate discipline in the 2020 Tokyo Summer Games program.

3X3 basketball has great traditions in Georgia. The Street Basketball Association, founded in 2006, was the predecessor of 3X3 basketball federation.

It is worth mentioning that the founders of the association established in 2006 founded the 3X3 basketball federation. These are - Giga Gurgenidze, Mikheil Amashukeli, Levan Mamulashvili, Beqa Goletiani, Mikheil Vartanovi, Nikoloz Gogolashvili and Alexander Jghenti.

The presentation of 3x3 Basketball Federation was also attended by the Deputy Minister of Culture and Sports of Georgia - Shalva Gogoladze, President of the Basketball National Federation - Paata Guraspauli and FIBA European National Federation and Sport Development Manager and Head of 3X3 basketball department in FIBA for years - Bulgarian Costa Ilyev.

Among the honorable guests there was former captain of national team and Dinamo Tbilisi president Vakhtang Natsvlishvili. Giga Gurgenidze, president of the newly created 3X3 basketball federation, has awarded him with an honorable diploma for the contribution of 3X3 basketball in Georgia.

Giorgi Zabakhidze was also awarded with honorable diploma. Another founder of street basketball association 12 years ago and nowadays executive director of Super League and Youth Leagues - Giorgi Zabakhidze will be the honorary president of 3X3 Basketball Federation.

Georgian Railway
EST. 1872





საკალათბურთო კემპი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და ესპანურ კორპორაცია „სასკი ბასკონიას“ თანამშრომლობა 2018 წელსაც წარმატებით გაგრძელდა. მეოთხე წელია, რაც ამ ორგანიზაციებს შორის ერთობლივი პროექტი ხორციელდება, რისი მიზანიც პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდა მოთამაშეების გამოვლენა, მათი ესპანეთში დაოსტატება და მომავალში საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების შევსებაა.

ესპანეთიდან ჩამოსულმა მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა საკალათბურთო კემპი აპრილის თვეში, თბილისის ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში გამართეს, სადაც თავი 12-დან 16 წლამდე ასაკის 160-მა პერსპექტიულმა მოზარდმა მოიყარა.

სამდღიანი ვარჯიშების შემდეგ ესპანელმა მწვრთნელებმა 17 გამორჩეული ახალგაზრდა შეკრიბეს, რომლებიც ესპანეთში, ქალაქ ვიტორიაში დაგეგმილ „ბასკონიას“ კემპზე მიიწვიეს. ესპანეთში გაემგზავრნენ: ლუკა ლიკლიკაძე (აკადემია), გიორგი ოჩხიკიძე (ბათუმი), გუგა ნაცვლიშვილი (დინამო), ანდრია ცერცვაძე (რუსთავი), საბა გურეშიძე (აკადემია), გიორგი ჭიჭინაძე (იბერი), საბა საბაური (ზაზას აკადემია), გეგა წულაია (ჰიუნდაი), თენგო გოგიშვილი (ჰიუნდაი), დათო მუმლაძე (ზაზას აკადემია), დაჩი დაშნიანი (ორბი), ნიკა თოთლაძე (ჰიუნდაი), რომა ჭინჭარაული (ორბი), ნიკა კიშკო (დინამო), დავით აბულაძე (აკადემია), დავით გოგაძე (ჰიუნდაი), პაპუნა ცხვედიანი (ზაზას აკადემია).

ეს პერსპექტიული კალათბურთელები ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში, „ბასკონიას“ კემპზე ივლისის თვეში იმყოფებოდნენ, სადაც 10 დღის განმავლობაში მაღალი დონის სპეციალისტებთან გადიოდნენ ვარჯიშებს.





მომავალი წლიდან კორპორაცია „სასკი ბასკონიასთან“ თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის, რაც საქართველოში ესპანური სკოლა-აკადემიის გახსნაში გამოიხატება. უახლოეს მომავალში მისი გახსნა თბილისში იგეგმება, სადაც მოზარდები მაღალი ხარისხის საკალათბურთო ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად განათლებასაც მიიღებენ.

BASKETBALL CAMP

Cooperation between Georgian Basketball National Federation and the Spanish Corporation Saski Baskonia successfully continued in 2018. It is a fourth year that a joint project is being implemented between these organizations and its aim is to identify prospective Georgian young players, train them in Spain and fill Georgian youth and national teams in the future.

The coaches and specialists from Spain held a basketball camp in April, at the Vere Gardens Basketball Palace in Tbilisi, where 160 prospective children aged between 12 and 16 were gathered.

After three days of training, Spanish coaches gathered 17 distinctive youngsters, who were invited to the Baskonia Camp in Vitoria, Spain. The following teenagers went to Spain: Luka Liklikadze (Academy), Giorgi Ochkhikidze (Batumi), Guga Natsvlishvili (Dinamo), Andria Tsertsvadze (Rustavi), Saba Gureshidze (Academy), Giorgi Tchitchinadze (Iberi), Saba Sabauri (Zaza Academy), Gega Tsulaia (Hyundai), Tengo Gogishvili (Hyundai), Dato Mumladze (Zaza Academy), Dachi Dashniani (Orbi), Nika Totladze (Hyundai), Roma Tchintcharauli (Orbi), Nika Kishko (Dinamo), Davit Abuladze (Academy), Davit Gogadze (Hyundai), Papuna Tskhvediani (Zaza Academy).

These prospective players visited the city of Vitoria, Spain,

საბოლოოდ ამ 17 ქართველი კალათბურთელისგან 6 მოზარდი შეირჩა, რომლებიც ესპანეთში დარჩებიან და წვრთნას, სწავლას, ცხოვრებასა და განათლების მიღებას „ბასკონიას“ მეთვალყურეობის ქვეშ გააგრძელებენ. ესენი არიან: გიორგი ოჩხიკიძე, ლუკა ლიკლიკაძე, გუგა ნაცვლიშვილი, ნიკა კიშკო, გეგა წულაია და გიორგი ჭიჭინაძე.





in July, on the Baskonia Camp, where they were trained by high-level specialists for 10 days. Finally, 6 teenagers from these 17 Georgian players were selected, who will stay in Spain and continue their training, learning, living and gaining education under the supervision of Baskonia. These are: Giorgi Ochkhikidze, Luka Liklikadze, Guga Natsvlishvili, Nika Kishko, Gega Tsulaia and Giorgi Tchitchinadze.

From the next year, cooperation with Saski Baskonia will move to a new stage, which is expressed in the opening of the Spanish school-academy in Georgia. In the nearest future it will be opened in Tbilisi, where adults will receive high quality education along with basketball knowledge and experience.

PSP

THE MEMBER OF

PSP GROUP

adjarasport.com

GEORGIA

TRAINING CAMP

სასკი ბასკონიას კემპი 2018



ლუკა ლიკლიკაძე
აკადემია
2003



გიორგი ოჩხიკიძე
ბათუმი
2004



გუგა ნაცვლიშვილი
დინამო
2004



ანდრია ცერცვაძე
რუსთავი
2004



საბა გურეშიძე
აკადემია
2004



გიორგი ჭიჭინაძე
იბერი
2004



საბა საბაური
ზაზა
2004



გეგა წულაია
იბერი
2005



თენგო გოგიშვილი
ჰიუნდაი
2005



დათო მუმლაძე
ზაზა
2005



დაჩი დაშნიანი
ორბი
2005



ნიკა თოთლაძე
ჰიუნდაი
2004



რომა ჭინჭარაული
ორბი
2002



პაპუნა ცხვედიანი
ზაზა
2002



ნიკა კიშკო
დინამო
2002



დავით აბულაძე
აკადემია
2002



დავით გოგაძე
ჰიუნდაი
2002

კემპზე ესპანელი მწვრთნელების დასახმარებლად და გამოცდილების შესაძენად მოწვეულნი იყვნენ ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები

მწვრთნელი	გუნდი
ალექსი ჯაფარიძე	აკადემია
ირაკლი ძიძიგური	ჰიუნდაი
დავით მუმლაძე	ზაზა
ჯაბა ბაქრაძე	ბათუმი

მწვრთნელი	გუნდი
მიხეილ ბერიშვილი	დინამო
დიმიტრი ჯაკობოვი	აკადემია
დავით როგავა	ოლიმპი

ხესუს ვასკესის ინტერვიუ ბასკონიას სკოლა საქართველოში

გასულ წელს საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა „სასკი ბასკონიას“ გენერალური დირექტორი, ხესუს ვასკესი. ამ უმსხვილეს ესპანურ კომპანიასთან საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას მჭიდრო საქმიანობა აკავშირებს და ვასკესის ეს ვიზიტიც ესპანურ-ქართული საკალათბურთო აკადემიის გახსნას უკავშირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მის გეგმებში არ შედიოდა, „სასკი ბასკონიას“ გენერალურმა დირექტორმა ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა და ბასკონიასა და ფედერაციას შორის დადებულ შეთანხმებაზე, მიზნებსა და ამოცანებზე დეტალურად ისაუბრა.



ბასკონია

ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიოში აღიარებულ კლუბს, რომელსაც ზურგს 60-წლიანი ისტორია უმაგრებს. ჩვენი გუნდი დაარსების წლიდანვე უმაღლეს საკლუბო დონეზე ასპარეზობს და არსებობის მანძილზე 5-ჯერ უთამაშია ევროლიგის ოთხთა ფინალში, ხოლო ერთხელ - ფინალში. მიუხედავად წარმატებებისა, ჩვენი ინტერესი უფრო მიმართულია ახალგაზრდობისკენ. მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკისა და გამოცდილების წყალობით, ვამჯობინებთ, პერსპექტიული კალათბურთელები აღმოვაჩინოთ და ჩვენს კლუბს მომავალი თაობა ჩვენვე აღვუზარდოთ. ჩვენს საკალათბურთო სკოლას 20 წლის მანძილზე გამოზრდილი ჰყავს მსოფლიო დონის ვარსკვლავები - „ბასკონიას“ საკალათბურთო სკოლა გაიარეს ანდრეს ნოჩიონიმ, ლუის სკოლამ, ტიაგო სპლიტერმა, ხორხე გარბახოსამ, ნიკოლა მარსელომ და სხვა მრავალმა.

ტალანტების აღმოსაჩენად ჩვენი სკაუტები მთელი წლის მანძილზე აკვირდებიან სხვადასხვა ქვეყნებში ახალგაზრდა კალათბურთელებს და მათგან განსაკუთრებული მონაცემებისა და პოტენციალის მქონეებს არჩევენ. შერჩეული ბავშვები ხვდებიან სტიპენდიანტების სიაში და მათზე ზრუნვას 12 პროფესიონალისგან შემდგარი გუნდი იწყებს, რომელშიც მწვრთნელებთან ერთად შედიან ექიმები, ფიზიოთერაპევტი, დიეტოლოგი, მეთოდოლოგი, ფსიქოლოგი.

საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, გაკეთდა გამონაკლისი და ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებულ იქნა სამუშაო პროგრამა, რათა იმ ახალგაზრდა კალათბურთელებს, რომელნიც უშუალოდ ჩვენი კლუბის სკაუტების მიერ არ ყოფილან შერჩეული, მიეცათ ექსკლუზიური შესაძლებლობა, რომ ამ სამუშაო პროგრამაში ჩაერთონ.

ეს პროგრამა განხორციელდა ფონდ „5+11“-ის ფარგლებში, რომელიც 2011 წელს დაარსდა. ანუ მაშინ, როდესაც კლუბმა შეიძინა საფეხბურთო გუნდი „დეპორტივო ალავესი“ და ერთ ფონდში გააერთიანა „ალავესისა” და „ბასკონიის” სასწავლო, სოციალური თუ სამუშაო პროგრამები.

რატომ დაიდო ეს ხელშეკრულება?

ოთხი წლის წინ, ჩვენს კლუბში პირველად უნდა ეთამაშა ქართველ კალათბურთელს, რამაც განაპირობა ჩვენი შეხვედრა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან. ჩვენი ურთიერთობის საფუძველზე, გამომდინარე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის იდეების გამჭვირვალობის და პროფესიონალიზმისა, გადავწყვიტეთ, საქმიანი ურთიერთობები გაგვეღრმავებინა. ქართულ მხარეს ჰქონდა სურვილი, რომ მათ ქვეყანაში საკალათბურთო დონე გაზრდილიყო და მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ასეთი სახის საერთაშორისო პარტნიორი არ გვყოლია, გადავწყვიტეთ ისეთი სახის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაგვეფორმებინა, რომელიც ორივე მხარისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ძირითადი მიზანი, რომელიც ფედერაციის მხრიდან გამოითქვა, იყო ქართველი ახალგაზრდა მოთამაშეების პროფესიონალური დონის ამაღლება, რაც მომავალში საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების წარმატებების საფუძველი იქნებოდა. ამისათვის დაიდო შემდეგი სახის ერთობლივი ხელშეკრულება, რომლის თანახმად სახელმწიფო ყოველწლიურად, ხუთი წლის მანძილზე აწარმოებდა 300 000 ევროს ინვესტიციას, რაც მთლიანად შეადგენს არა 2,5 მილიონს, როგორც ამას აჟღერებენ ნეგატიურად განწყობილი ადამიანები, არამედ - 1,5 მილიონს. დაიგეგმა, რომ ამ ინვესტიციის საშუალებით ქართველი ახალგაზრდა მოთამაშეებიც ჩაერთვებოდნენ ჩვენს მიერ შემუშავებულ სტიპენდიების პროგრამებში, სადაც გაივლინდნენ სწავლებას იმავე პროფესიონალების მიერ, რომელნიც მუშაობენ დანარჩენ სტიპენდიანტებთან. შესაბამისად, მოხდებოდა მათი მომზადება პროფესიონალური კალათბურთისთვის, სპეციალურად შერჩეული პროგრამით.

გადაწყდა, რომ ახალგაზრდა კალათბურთელების რაოდენობა დაახლოებით 15 მოთამაშით განისაზღვრებოდა. თავდაპირველად გადავწყვიტეთ, რომ დაგვეწყო 16-წლამდე მოზარდებით, რომლებიც ნაკრებში გადასვლამდე ჩვენი პროგრამით ივარჯიშებდნენ. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ქართული მხარის მიზანი იყო, არ მომხდარიყო თაობებს შორის წყვეტა და ყოველ ასაკში სოლიდური კონტიგენტი ყოფილიყო, მოხდა ასაკობრივი დიფერენციაცია.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროგრამა სპეციალურად ამ ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოსთვის შემუშავდა და სხვას არავის აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გარკვეული თანხის გადახდის შედეგად მოხვდეს ამ სამუშაო პროგრამაში - ანუ ჩვენს კლუბში.
შედეგად, ქართველ კალათბურთელებს მიეცათ შესაძლებლობა, ჩვენს მიერ შემუშავებული განსაკუთრებული პროგრამის ფარგლებში ისარგებლონ „ბასკონიის“ უნიკალური ინფრასტრუქტურით, ივარჯიშონ თანამედროვე სისტემებით, გაეჯიბრონ მაღალი დონის გუნდების წევრებს და ამ ყველაფრის მატერიალური ღირებულების დადგენა ძალიან რთულია.
გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ, ვინც ესპანეთში ამ სამწლიან კურსს გადის, სხვა პროფესიონალური სტატუსი ენიჭებათ, ისინი არ განიხილებიან როგორც უცხოელი მოთამაშე და საკალათბურთო ბაზარზე მათი ფასი ბევრად მატულობს.
ვფიქრობთ, რომ ჩვენს პროგრამაში მონაწილე ქართველი მოზარდების პერსპექტივა და მათი მიღწევები უდიდესი მოტივაცია იქნება დამწყები კალათბურთელებისთვის. სწორედ ამ შესაძლებლობებს იძლევა ჩვენი და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტი, რაც არა მხოლოდ მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის ამაღლების გარანტიაა, არამედ თქვენი ქვეყნის სამომავლო წარმატებებისთვის საკმაოდ ძვირფას ინვესტიციას წარმოადგენს.
აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ ახალგაზრდების გაზრდის საკითხს არ მოიცავს. „ბასკონია“ ღიაა თქვენი ფედერაციისთვის და მზადაა, გაუზიაროს მას საკუთარი გამოცდილება და ცოდნა ნებისმიერი სფეროსა თუ მიმართულების კუთხით.
მას შემდეგ, რაც შევიმუშავეთ მიზნები და ამოცანები, გაგვაგებინეს რომ საკმაოდ მაღალი იყო ფინანსური შენატანი და უნდა განგვეხილა თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ გადასახადის შემცირება. და ასეთი აზრი გაგვიჩნდა, რომ მომხადიყო ამ თანხის ამოღება ქართველ კალათბურთელთათვის 100%-იანი სასწავლო უფლებების დაწესების საფუძველზე. მაგრამ ვინაიდან ჩვენთვის ჯერ უცნობი იყო ქართველი ბიჭების პროფესიონალური დონე, კლუბმა დააწესა 50%-იანი გადასახადი ქართველ კალათბურთელთათვის და 30%-იანი გადასახადი იმ სტიპენდიანტებისთვის, რომელთა დონე ჩვენთვის ცნობილია და ვიცით რამდენად რენტაბელურია ამის განხორციელება. ამ მონაცემების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული უფლებების დაწესებით შესაძლებელი გახდებოდა არა მხოლოდ ჩადებული თანხის ამოღება, არამედ მოგების ნახვაც.
ამ ეტაპზე სტიპენდიანტების პროექტში გვყავს სხვადასხვა ქვეყნის 19 მოთამაშე, რომელთა შორის 5 ქართველია. კლუბის ისტორია გვიჩვენებს, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილი კალათბურთელების ძირითადი ნაწილი ითამაშებს პროფესიონალურ გუნდებში, ზოგიერთი მათგანი ევროპის პირველი რანგის კლუბებში, მინიმუმ 2 მოთამაშე გვეყოლება NBA-ში.
ამიტომ მინდა, ყველასთვის ნათელი იყოს ის, რომ ხელშეკრულების თანხით სხვა ქვეყნის ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადება არ ხდება. ჩვენ ამ საქმიანობას 20 წელია, ვეწევით და ასე გავაგრძელებდით საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების გარეშეც. ერთადაერთი, რაც ქართულ მხარეს ჩვენი სკოლის უცხოელ მოთამაშეებთან აკავშირებს არის ის ფორმულა, რომელიც შევიმუშავეთ იმისთვის, რომ მომხდარიყო საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვის ჩადებული ინვესტიციის ამოღება.
ამიტომ, საუბარია არა იმაზე, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ინვესტირებული თანხით ჩვენ ვამზადებთ ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც მომავალში თქვეს ნაკრებებს დაუპირისპირდებიან, არამედ იმაზე, რომ აღნიშნული თანხით ვეხმარებით უცხოელ ახალგაზრდა მოთამაშეებს დაოსტატებაში და ამის სანაცვლოდ ქართველებს უფასოდ ვთავაზობთ პროფესიონალური სწავლების პროგრამას.
იმ 300 000 ევროდან აქვე უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მეორე ნაწილი, რაც შეადგენს ყოველწლიურ 200.000 ევროს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაიხარჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა შეადგენდა 200 000 ევროს, ჯამში 100.000 ევროზე მეტი არ დახარჯულა და ეს თანხაც ძირითადად უკავშირდებოდა მშობლების სამგზავრო ხარჯებს, ტრენინგების მოწყობას და ასე შემდეგ.

რა მოგება შეიძლება მიიღოს თქვენმა ქვეყანამ ამ პროექტისგან?

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ამ შეთანხმების საფუძველზე ქართველ მოთამაშეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ჩვენი პროფესიული გუნდის დახმარებით მიიღონ სიღრმისეული გამოცდილება, ივარჯიშონ ჩვენს სპორტულ ცენტრებში, ითამაშონ მაღალი რანგის საერთაშორისო კალათბურთელებთან ერთად, რისი მიღწევაც საქართველოში დარჩენით, სამწუხაროდ, შეუძლებელი იქნებოდა.
მთელი ეს ინვესტიცია, რასაც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აღნიშნულ პროექტში დებს, სწორი ნაბიჯების გადადგმისა და თანამშრომლობის საფუძველზე 8-9 წელიწადში უკან დაუბრუნდება და მთელ იმ სარგებელს, რასაც ახალგაზრდა თაობების აღზრდით ნახავს, სრულიად უსასყიდლოდ მიიღებს.
კიდევ ერთი კომენტარი, რომელიც გაჟღერდა არის ის, თითქოს ბასკონია მოგებას ნახულობს იმით, რომ ბევრი მოთამაშე ჰყავს, ვისზეც გარკვეული უფლებები გააჩნია. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, ვინაიდან სამწუხაროდ, ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს, რომელიმე მოთამაშე მოხვდეს ბასკონიაში კლუბის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონიდან გამომდინარე.
ის ფაქტი, რომ ბასკონიაში ერთი წლის მანძილზე ნავარჯიშებმა 16 წლამდე მოთამაშეებმა შეძლეს საქართველოს ნაკრების ევროპის “ბ“ დივიზიონიდან ელიტაში გადასვლა, კიდევ უფრო გვიმყარებს იმედს, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე და ესპანეთში ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელთა პროფესიონალური პრაქტიკების გავლით, დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია.
ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ ბასკონიის დამსახურება არ არის, მაგრამ გვინდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანეთ.

ბოდნისა
აუდიტური კონცერნი

ფინანსური ასპექტი და პროფესიონალური სწავლება

ასევე გაჟღერდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფედერაცია მაინც წაგებაში იქნება, 8-9 წლის შემდეგ ზუსტად იგივე თანხა რომ დაიბრუნოს. ამგვარი სახის მსჯელობა მიუთითებს იმას, რომ არ ვითვალისწინებთ იმ შრომას, რომელიც ამ ხნის მანძილზე იქნება გაწეული ქართველი კალათბურთელების მიმართ. არ ვითვალისწინებთ მათ პროფესიულ ზრდას, რაც ისევ და ისევ საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების წარმატებების საწინდარი იქნება.

არსებობს სხვა კლუბებიც, რომელთაც აკადემიური სასწავლო სისტემის სანაცვლოდ ფიქსირებული ტარიფები აქვთ და ისინი წელიწადში 30-დან 50 ათასი ევროს ფარგლებში მერყეობენ.

„ბასკონიამ“ ახალგაზრდა ქართველი მოთამაშეები აკადემიაში კი არ გააწევრიანა, არამედ სტიპენდირებულ პროექტში ჩართო, რომელსაც 12 პროფესიონალი ავარჯიშებს, სთავაზობს მაღალი დონის მომსახურებას, ყოველდღიურად სამ სამუშაო ეტაპს, კერძო ძვირადღირებულ საცხოვრებელს, სადაც კლუბის პროფესიონალი კალათბურთელები და ფეხბურთელები იმყოფებიან.

გარწმუნებთ, რომ ამგვარი ტიპის ხელშეკრულებას არავისთან არ გაიმეორებდნენ. მხოლოდ აღნიშნულმა გარემოებამ და სამინისტროსა თუ ფედერაციის წარმომადგენელთა დიდმა მონდომებამ და პროფესიონალიზმმა განაპირობა ის, რომ ამ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

ფიქრობთ რომ კლუბი, რომლის ბიუჯეტი 80 მილიონ ევროს შეადგენს ფეხბურთისა და კალათბურთის ჩათვლით, თავის „ნოუ ჰაუს“, თავის პროფესიონალურ გამოცდილებას ამ თანხაში გაუზიარებდა?

ბუნებრივია, რომ ამ ხელშეკრულებისთვის ფინანსური ინტერესის გამო ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საქმე უსასყიდლოდ უნდა ვაწარმოოთ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პროგრამაში ინვესტირებული თანხა მთლიანად დაუბრუნდება ისევ ქართულ კალათბურთს, ხოლო ამასთან ერთად საქართველო გაცილებით ძვირფას საჩუქარს - არაერთ პროფესიონალ კალათბურთელს მიიღებს, რომელიც თქვენს ქვეყანას გამოადგება.

სამომავლო გეგმა

ჩვენი იდეაა, რომ გაგრძელდეს ესპანეთში ვარჯიშები. წელს გვეყოლება 5 ახალგაზრდა ბასკონიაში და ერთიც ჩვენს მეგობარ გუნდში მიერესში. ასევე ვიწყებთ ახალი თაობის წარმომადგენლებთან მუშაობას. საუბარია 2003 წელს დაბადებულ მოზარდებზე. ჩვენი მიზანია, რომ მინიმუმ სამმა თაობამ ისარგებლოს ამ პროექტით და არ მოხდეს ასაკებს შორის წყვეტა.

ვაგრძელებთ ტექნიკური განათლების პროექტებს და კლინიკებს. შეგვიძლია გამცნოთ, რომ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოში დაარსდება მუდმივმოქმედი საკალათბურთო სკოლა, სადაც ქართველი და ესპანელი მწვრთნელები შეიმუშავებენ როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა სავარჯიშო მეთოდოლოგიას, გარდა ამისა, შევიმუშავებთ გარკვეულ სასწვლო პროგრამებს მწვრთნელთათვის.

გვინდა, რომ დავიწყოთ 12 წლამდე ასაკის ბავშვებით. იმისთვის, რომ თავიდანვე ამ მეთოდოლოგიით აღიზარდონ და წლების მანძილზე ეს ჯაჭვი იყოს უწყვეტი. დავაწესებთ ხელმისაწვდომ ფასებს, ხოლო პერსპექტიული მოზარდებისთვის დაწესდება მნიშვნელოვანი შეღავათები. ასევე გვინდა, რომ შემდგომში მსგავსი სკოლები გაიხსნას საქართველოს სხვა ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი და სხვა).



INTERVIEWS WITH JESUS VAZQUEZ SCHOOL OF BASKONIA IN GEORGIA

Mr. Jesus Vazquez, General Director of Saski Baskonia had a business visit in Georgia last year. The Georgian Basketball National Federation has close cooperation with this largest Spanish company. This visit of Vazquez was related to the opening of the Spanish-Georgian Basketball Academy.

Despite the fact that his plans did not include the mentioned, General Director of Saski Baskonia held a press conference for Georgian journalists and spoke about the goals and objectives of the agreement between Baskonia and Federation.

BASKONIA

We represent the world-renowned club, which is backed by a 60-year history. Our team is playing at the highest club level since its origins and has played five times in Europe League four finals, and once - in the finals. Despite the success, our interest is more focused on youth. Thanks to the practices and experiences we have been receiving for many years, we are looking forward to finding prospective basketball players and rising the next generation for our club. Our Basketball School has raised the world level stars for over 20 years. Andrés Nocción, Luis Schola, Tyago Splitter, Jorge Garbakhosa, Nicolas Marcelo and many others went in Baskonia's basketball school.

In order to find talents, our scouts are observing young basketball players in different countries throughout the year, and they choose players with special talent and potential. The selected children are added to the Scholarship list and 12 professionals, including coaches, doctors, physiotherapists, dietitian, methodologist, psychologist start to take care of them.

On the basis of the agreement, signed with the Georgian Basketball National Federation, an exception was made and a work program was elaborated within the scope of the agreement that young basketball players, who were not directly selected by our club scouts, were given an exclusive opportunity to engage in this work program.

This program was implemented within the fund "5+11", which was founded in 2011. That was when the club acquired football team "Deportivo Alaves" and united "Alaves" and "Baskonia" training, social and working programs.

WHY WAS THIS AGREEMENT CONCLUDED?

Four years ago, Georgian basketball player had to play in our club for the first time, which led to our meeting with the Georgian Basketball National Federation. Based on our relationship, we decided to deepen business relationships according to the transparency and professionalism of the Georgian Basketball Federation. The Georgian side had a desire to increase the level of basketball in the country and despite the fact that we have not had such international partner; we decided to form a mutually cooperative agreement that would be beneficial for both parties.

The main goal, which was expressed by the federation, was aiming at raising the professional level of Georgian young players, which would be the basis for successes of Georgian youth teams and National team in the future. For this purpose, a joint agreement was signed, according to which the state would invest 300,000 Euros in five years, which totally amounts not 2.5 million, as some people say, but 1.5 million. It was planned that Georgian players would be involved in our scholarship programs, developed by the same professionals, who work with other scholars. Accordingly, they would be trained for professional basketball, with specially selected program.

It was decided that the number of young basketball players would be approximately 15. Initially we decided to start with U16 players, who would be trained with our program before moving to the national team. However, as the purpose of the Georgian side was to have a solid contingent at all ages to avoid a hitch between the generations, we tried an age differentiation.

I would like to emphasize that this program was specifically developed for Georgia within the frameworks of this agreement and no one else has the opportunity to take part in this work program in exchange for money.

As a result, Georgian basketball players have the opportunity to use the unique infrastructure of Baskonia and try the modern systems to compete with high-level teams.

In addition, we should not forget that those, who pass this three-year course in Spain, would have other professional status, they are not considered as foreign players and their price on the basketball market is much higher.

We think that the perspective of Georgian teenagers, participating in our program and their achievements, will be a great motivation for beginner basketball players. This is what our joint work with Georgian basketball federation gives, which is not only a guarantee of enhancing individual skills of players, but also a very valuable investment for your country's future success.

This agreement does not include the issue of increasing the youth only. Baskonia is open for your federation and is ready to share his experience and knowledge in any field or direction.

Since we have developed goals and missions, we received the information that the financial contribution was quite high and we had to work on reducing this tax. And we had such an opinion that we could take this amount on the basis of setting up a 100% educational program for Georgian basketball players. But since we were still unaware of the professional level of Georgian boys, the Club set a 50% fee for Georgian basketball players and 30% - for those scholars, whose level is known for us and we know, how efficient it is to do it. According to this data, it would be possible to have a financial profit.

At this stage we have 19 players from different countries, including 5 Georgians. Club history shows that the main part of our school basketball players will play in professional teams, some of them in the first European clubs, we will have at least 2 players in the NBA.

Therefore, I want to make it clear to everyone that young players from other countries are not prepared with the money of this contract. We have been doing this for 20 years now and we would continue in such way even without the agreement with Georgia. The one thing that connects Georgian side with foreign players is the formula that we have developed for Georgian Basketball National Federation.

Therefore, it is not about the fact that with the investment of Georgian Basketball Federation we are preparing the players, who will fight against you in the future, but with this money we help foreign players to become a skillful masters and instead, we offer a free professional training program for Georgians.

The second part of the amount of agreement should also be separated from this 300,000 Euros, which is an annual of 200,000 Euros, which would have been spent if necessary. Although, this sum amounted to 200,000 Euros, there have not been spent more than 100,000 Euros in total and this money was mainly related to parents' traveling expenses, trainings and so on.

WHAT PROFIT CAN YOUR COUNTRY RECEIVE FROM THIS PROJECT?

For the reasons above, it is clear that the Georgian Basketball Federation gives Georgian players a unique opportunity to receive in-depth experience with our professional team, be trained in our sports centers and play with top international basketball players. Unfortunately, it would be impossible to achieve all this in Georgia.

All these investments that are implemented in this project by Georgian Basketball Federation, will be returned in the 8-9 years period, based on the right steps and co-operation, and will benefit the younger generations.

Some people claim, that Baskonia makes profits from having rights on lots of players, but we disagree, because unfortunately, it is very difficult to reach our club due to the high level of competitiveness.

The fact that over the course of a year of practice in Baskonia, U-16 players managed to move from the European "B" division to the elite, strengthens the hope that it will be possible to achieve goals, based on the program we have developed.

Of course, this is not just Baskonia's merit, but we want to think that we have also contributed to it.

FINANCIAL ASPECT AND PROFESSIONAL TRAINING

It was also said that the federation would still be losing in case of receiving the same amount of money after 8-9 years. Such kind of discussion indicates that we do not take into consideration the work that has been done to Georgian basketball players during this period. We do not take into consideration their professional growth, which will be the success of Georgia's underage and national teams.

There are other clubs that have fixed tariffs in exchange for the academic training system, and they range from 30 to 50 thousand Euros a year.

Baskonia did not joined young Georgian players at the Academy, but engaged them in a scholarship project, which includes 12 professional trainers, offers a high level of service, three working stages each day, private luxury housing, where club's professional basketball and football players live.

I assure you that this type of contract will not be reconciled with anyone. Only above-mentioned circumstances and the great efforts and professionalism of the representatives of ministry and federation provided the basis for this agreement.

Do you think that the club, whose budget is 80 million Euros, including football and basketball, would share his professional experience for such amount of money?

It is clear, that we did not assign this agreement due to financial interest, but it does not mean that we should do this job for free.

We can conclude that the money, invested in the program, will be returned to the Georgian basketball again, and Georgia will receive a lot more valuable gift - a number of professional basketball players that will benefit your country.



FUTURE PLAN

Our idea is to continue training in Spain. We will have 5 youngsters in Baskonia and one in our friend team - Mieres this year. We are also going to start working with the new generation representatives. It is about teenagers, born in 2003. Our goal is to involve at least three generations in this project and do not have a gap between age groups.

We continue technical education projects and clinics. We can recognize that there will be established a permanent basketball school in Georgia within the frameworks of our cooperation, where Georgian and Spanish coaches will develop both male and female training methodology. Except this, we will work out some training programs for coaches as well.

We want to start with children under the age of 12. In order to be brought up with this methodology from the very beginning and the chain to be continuous for years.

We would like to set up accessible prices, and significant benefits will be set for prospective teenagers. We also want to open similar schools in other cities of Georgia (Kutaisi, Batumi and etc.).

Georgian Railway
EST. 1872

ბოლნისა
ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ

წაიკითხე კინოამბები პირველმა

inemania.ge



- სიახლეები
- რეცენზიები
- კოლექციები
- საინტერესო სტატიები

ყველაფერი კინოს შესახებ
შეგიძლია იკითხო აქ



დუდუ დადიანის მემორიალი

„დინამო თბილისმა“ 2016 წელს მოგებული დუდუ დადიანის თასი 2017 წელსაც შეინარჩუნა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში 1-6 ოქტომბერს გამართული მემორიალური ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა და ფინალში „ოლიმპის“ 67:48 ძლევით პრესტიჟული ტიტული შეინარჩუნა.

ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი 2017 წელს მე-16-დ ჩატარდა. მემორიალში სუპერლიგის 8 და „ა“ ლიგის ერთი გუნდი მონაწილეობდა. 9 გუნდი 3 ჯგუფში გასული სეზონის მიხედვით სუპერლიგაში დაკავებული ადგილების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ა“ ჯგუფი: დინამო, მგზავრები, თსუ ჰიუნდაი
„ბ“ ჯგუფი: ქუთაისი, სოხუმი, მარნეული
„გ“ ჯგუფი: რუსთავი, კაკტუსი, ოლიმპი

გათამაშების ფორმატის თანახმად, გუნდებმა ჯგუფებში 1 წრე ითამაშეს, რის შემდეგაც პირველ ადგილზე გასულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი ნახევარფინალში გავიდნენ. ჯგუფური ეტაპის შემდეგ წარმატებული გუნდები ნახევარფინალში შემდეგნაირად დაწყვილდნენ: „დინამო“ – „ქუთაისი“ და „ოლიმპი“ – „რუსთავი“.

დინამოელებმა დაძაბულ ბრძოლაში 7 ქულის სხვაობით - 74:67 დაამარცხეს ქუთაისელები, ხოლო მეორე ნახევარფინალში „ოლიმპმა“ „რუსთავს“ 83:75 სძლია. შესაბამისად, ფინალში ერთმანეთის პირისპირ „დინამო“ და „ოლიმპი“ წარსდგნენ.

ფინალური მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი გამოდგა. ორივე გუნდი მწყობრად თამაშობდა დაცვაში და ლიდერობას ვერც ერთმა მიაღწია. პირველი პერიოდი ფრედ - 20:20 დასრულდა, მეორეშიც თანაბრობა იყო, რომელიც საბოლოოდ დინამოელთა





რომელსაც სპეციალური პრიზი დუდუს ძმისშვილებმა - ნიტა, სანდრო და ანდრია დადიანებმა გადასცეს. დუდუს ძმისშვილებმა ტურნირის გამარჯვებულისთვის დაწესებული დადიანის თასი დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს გადასცეს.

DUDU DADIANI CUP

Dinamo Tbilisi retained the Dudu Dadiani Cup in 2017. The team coached by Irakli Khoshtaria held a memorial tournament on October 1-6 at Tbilisi Olympic Palace and maintained the prestigious title by winning with Olimpi 67:48 in the finals.

The tournament in memory of the Vice-President of the Georgian basketball federation was held 16th times already in 2017. 8 teams from the Super League and 1 from A League were participating in the tournament. 9 teams were distributed in 3 groups according to the previous season:

Group A: Dinamo, Mgzavrebi, TSU Hyundai

Group B: Kutaisi, Sokhumi, Marneuli

Group C: Rustavi, Cactus, Olimpi

According to the format of the tournament, teams played 1 round in groups, after which teams that took the first place and the best one, which took the second place, went to the semi-finals. After the group stage, the successful teams were paired in the semi-finals in the following way: Dinamo - Kutaisi and Olimpi - Rustavi.

Dinamo defeated Kutaisi by 7 points - 74:67 in a very tense fight. As for second semi-final match, Olimpi beat Rustavi 83:75. Accordingly, Dinamo and Olimpi played against each other in the finals.

The first half of the final match was equal. Both teams were playing balanced game and none of them had achieved

2-ქულიანი ლიდერობით დასრულდა - 35:33. კვანძი მესამე მეოთხედში გაიხსნა, რომელიც დინამოელებმა 21:6 მოიგეს და ლიდერობა განიმტკიცეს. ბოლო პერიოდში „ოლიმპი“ ეცადა, მაგრამ გამართულად მოთამაშე ოპონენტის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა.

ფინალის დასრულების შემდეგ დუდუ დადიანის მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელთა სერბი ფორვარდი ნიკოლა გაჩეშა დასახელდა,



leadership. The first period ended with the score 20:20, Dinamo had 2-points leadership in the second one – 35:33. Everything became clear in the third quarter, which was won by Dinamo players 21:6 and they strengthened their leadership. Olimpi tried their best in the final quarter but could not resist the opponent.

After finishing the final match Nichola Gacesa – Dinamo's Serbian forward was named as the best player of Dadiani Memorial. He was awarded with a special prize by Dudu's nephews - Nita, Sandro and Andria Dadiani. Dudu's nephews awarded captain of Dinamo – Ilia Londaridze with Dadiani Cup.

სატურნირო ცხრილი STANDINGS

ჯგუფი ა / Group A

	გუნდი / Team	თ P	მ W	წ L	ჩაგდებ. For	მიღებ. Agt.	+/-	ქ PTS
1	დინამო Dinamo	2	2	0	106	56	50	4
2	მგზავრები Mgzavrebi	2	0	2	66	105	-39	1
3	თსუ-ჰიუნდაი TSU-Hyundai	2	1	1	141	152	-11	3

ჯგუფი ბ / Group B

	გუნდი / Team	თ P	მ W	წ L	ჩაგდებ. For	მიღებ. Agt.	+/-	ქ PTS
1	ქუთაისი Kutaisi	2	2	0	180	155	21	4
2	სოხუმი Sokhumi	2	1	1	169	168	1	3
3	მარნეული Marneuli	2	0	2	157	183	-26	1

ჯგუფი გ / Group G

	გუნდი / Team	თ P	მ W	წ L	ჩაგდებ. For	მიღებ. Agt.	+/-	ქ PTS
1	რუსთავი Rustavi	2	1	1	162	148	14	3
2	კაკტუსი Cactus	2	1	1	149	169	-20	3
3	ოლიმპი Olimpi	2	1	1	152	146	6	3



დუდუ დადიანის სახელობის მემორიალის ფინალური შეხვედრები
FINAL MEETINGS OF DUDU DADIANI MEMORIAL

	წელი / Year	გუნდები / Teams	ანგარიში / Score
1	2002	დინამო - თსუ Dinamo - TSU	95:63
2	2003	სტუ-ჯეოსელი - დინამო STU Geocell – Dinamo	87:76
3	2004	სტუ-ჯეოსელი - დინამო STU Geocell – Dinamo	111:102
4	2005	ავიამშენი - თსუ-ნიკორა TAM – TSU Nikora	88:77
5	2006	ენერჯი ინვესტი - ავიამშენი Energy Invest - TAM	85:69
6	2007	ენერჯი ინვესტი - ვითა Energy Invest - VITA	88:66
7	2008	ენერჯი ინვესტი - აგრარული Energy Invest - Agr. Uni	101:73
8	2009	ენერჯი ინვესტი - თსუ Energy Invest - TSU	91:69
9	2010	ენერჯი ინვესტი - შსს Energy Invest - MIA	72:60
10	2011	შსს - ქუთაისი MIA - Kutaisi	75:93
11	2012	არმია - შსს აკადემია Army - MIA Academy	68:57
12	2013	სოხუმი - არმია Sokhumi - Army	84:57
13	2014	რუსთავი - დინამო Rustavi - Dinamo	72:60
14	2015	ბარსი - ქუთაისი Barsy - Kutaisi	78:74
15	2016	ქუთაისი - დინამო Kutaisi - Dinamo	63:75
16	2017	დინამო - ოლიმპი Dinamo - Olimpi	67:48

adjarasport.com


GR
საქართველოს
რკინიგზა
1872-დან
GEORGIAN RAILWAY
გემსახურებით 1872 წლიდან
SERVING YOU SINCE 1872
GRS-014
საქართველოს რკინიგზა
საქართველოს კალათბურთის ეროვნული
ნაკრების, ასაკობრივი ნაკრები გუნდებისა
და სუპერლიგის გენერალური სპონსორი
www.railway.ge



ოლიმპიური ჩემპიონების - ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალს გასულ წელს ქუთაისმა უმასპინძლა.

ტურნირი ქუთაისის მერიისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

მემორიალში 8 გუნდი მონაწილეობდა: ქუთაისი, რუსთავი, კაკტუსი, ოლიმპი, მგზავრები, მარნეული, სოხუმი (სუპერლიგა) და წყალტუბო („ა“ ლიგა).

გუნდები მეოთხედფინალში მიმდინარე სუპერლიგის ცხრილის მიხედვით, შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

ქუთაისი - წყალტუბო
ოლიმპი - მგზავრები
რუსთავი - სოხუმი
კაკტუსი - მარნეული

მეოთხედფინალში საკმაოდ დაძაბული მატჩები გაიმართა. ყველაზე თანაბარი და საინტერესო გამოდგა „ოლიმპისა“ და „მგზავრების“ დაპირისპირება, სადაც გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთზე გამოვლინდა. „მგზავრებმა“ 3 ქულით - 79:76 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ. დასკვნით პერიოდში გადაწყდა „მარნეულისა“ და „კაკტუსის“ მატჩის ბედიც. მატჩი თბილისურმა გუნდმა 82:76 მოიგო.

„ა“ ლიგის წარმომადგენელმა „წყალტუბომ“ მასპინძელ „ქუთაისთან“ ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ მარცხი განიცადა - 80:96. ყველაზე ნაკლებად დაძაბული რეგიონული გუნდების შეხვედრა გამოდგა, რომელშიც „რუსთავმა“ 31 ქულის სხვაობით - 103:72 სძლია „სოხუმს“ და ნახევარფინალში „კაკტუსს“ შეუწყვილდა.

ფინალში გასასვლელი მატჩი რუსთაველებმა 81:71 მოიგეს, ხოლო ქუთაისელებმა "მგზავრებს" 79:66 აჯობეს. ფინალური მატჩი ვერ გამოდგა დაძაბული. ქუთაისელებმა ლეგიონერების გარეშე მოთამაშე "რუსთავს" იოლად სძლიეს და ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას თასს დაეპატრონნენ.







ფინალური მატჩის შესვენებაზე ქუთაისის სპორტის სასახლეში ლეგენდარული ქართველი კალათბურთელისა და მწვრთნელის, ოთარ ქორქიას გრანდიოზული სურათი გაიხსნა. ოთარ ქორქიას სურათი ლეგენდარულმა კალათბურთელებმა - ნიკოლოზ დერიუგინმა და ნოდარ ქორქიამ გახსნეს, ხოლო სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა და ქუთაისის საკრებულოს წევრმა რამაზ ჩხიკვაძემ მიმართეს.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ტურნირის საუკეთესო უკანახაზელად დასახელებული ქუთაისელთა ამერიკელი ლეგიონერი დეჟუან რაითი ზურაბ საკანდელიძის მეუღლემ, მაცაცო საკანდელიძემ დააჯილდოვა.

მემორიალის საუკეთესო ფორვარდი გახდა გიორგი ბარბაქაძე, რომელსაც სპეციალური პრიზი მიხეილ ქორქიას მეუღლემ, მანანა ქორქიამ გადასცა.

მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის თასით ქუთაისელთა კაპიტანი გიორგი ბარბაქაძე ანზორ საკანდელიძემ და ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვეს.

ZURAB SAKANDELIDZE AND MIKHEIL QORQIA MEMORIAL

Kutaisi hosted the memorial of Olympic Champions – Zurab Sakandelidze and Mikheil Qorqia last year.

The tournament was organized jointly by Kutaisi City Hall and Basketball National Federation.

8 teams were participating in the memorial: Kutaisi, Rustavi, Cactus, Olimpi, Mgzavrebi, Marneuli, Sokhumi (Super League) and Tskaltubo (A League).

According to the Super League quarterfinal tables, teams were paired the following way:

Kutaisi – Tskaltubo
Olimpi – Mgzavrebi
Rustavi – Sokhumi
Cactus - Marneuli





Quarterfinal matches turned out quite tense. The most interesting and equal was fight between Olimpi and Mgzavrebi, where the winner was revealed at the last minute. Mgzavrebi won by 3 points – 79:76 and went to semifinals. The fate of the match between Marneuli and Cactus was decided in the decisive moment as well. Cactus won 82:76.

A representative of A League - Tskaltubo fought well with the host Kutaisi, but eventually lost - 80:96. The least tense match was between regional teams, where Rustavi defeated Sokhumi by 31 points difference 103:72 and paired with Cactus in semifinals.

Rustavi won a semifinal match 81:71 and went to finals. Kutaisi defeated Mgzavrebi 76:66. The final match did not turn out to be tense. Kutaisi easily beat Rustavi, which was left without legionaries. Suitably, Kutaisi gained the memorial cup.

A grand picture of legendary Georgian basketball player and coach - Otar Qorqia was opened at the Kutaisi Sports Palace on the final match. Otar Qorqia's picture was opened by legendary basketball players Nikoloz Derugin and Nodar Qorqia, and President of Georgian Basketball Federation Paata Guraspauli and Kutaisi City Council member Ramaz Chkhikvadze welcomed the society gathered in the palace.

An awarding ceremony was held after the match. Matsatso Sakandelidze, Zurab Sakandelidze's wife awarded Kutaisi's American Legionary – Dejuan Wright, which was named as the best guard of the tournament.

The best forward of the memorial became Giorgi Barbaqadze, who was awarded with special prize by Mikheil Qorqia's wife Manana Qorqia.

The captain of Kutaisi, Giorgi Barbaqadze was awarded with memorial cup by Anzor Sakandelidze and Nodar Qorqia.

Georgian Railway
EST.1872

ბოდნისა
აუდიტორი კონცერნი



ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალის ფინალური შეხვედრები
FINAL MEETINGS OF ZURAB SAKANDELIDZE AND MIKHEIL QORQIA MEMORIAL

	წელი / Year	გუნდები / Teams	ანგარიში / Score
1	2006	რუსთავი - სტუ Rustavi - STU	106:77
2	2007	ენერჯი ინვესტი - თსუ Energy Invest - TSU	95:75
3	2008	ავიამშენი - ენერჯი ინვესტი TAM - Energy Invest	80:78
4	2008	ენერჯი ინვესტი - ნტდ თბილისი Energy Invest - NTD Tbilisi	91:60
5	2010	ენერჯი ინვესტი - შსს Energy Invest - MIA	75:58
6	2011	თსუ - სოხუმი TSU - Sokhumi	102:86
7	2012	არმია - შსს Army - MIA	99:83
8	2013	ოლიმპი - რუსთავი Olimpi - Rustavi	80:67
9	2014	დინამო - სოხუმი Dinamo - Sokhumi	80:75
10	2015	შსს - რუსთავი MIA - Rustavi	84:79
11	2016	ქუთაისი - სოხუმი Kutaisi - Sokhumi	86:57
12	2017	ქუთაისი - არენა Kutaisi - Arena	80:58

adjarasport.com



სუპერთასი

ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის, ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გამარჯვებული „თბილისის დინამო“ გახდა.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა სატიტულო მატჩში „ქუთაისი 2010“ 18 ქულის სხვაობით - 88:70 დაამარცხა.

მოქმედმა ჩემპიონმა შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვებაც დაიმსახურა. მიხეილ ბერიშვილისა და ამერიკელი ლეგიონერების - ლაველ ბოიდისა და კაილ ტურპინის ლიდერობით დინამოელებმა თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს.

მოგებულთაგან 22 ქულით ბომბარდირი ლაველ ბოიდი გახდა, საუკეთესო მარგი ქმედების კოეფიციენტი (34) კი კაელ ტურპინს ჰქონდა, რომელმაც 20 ქულა, 11 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა.

შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა მიხეილ ბერიშვილმა, რომელმაც თავი 20 ქულას, 7 მოხსნას და 3 ჩაჭრას მოუყარა.

ქუთაისში ორმაგი დუბლით გამოირჩა აკაკი დვალიშვილი, რომლის ანგარიშზეც 14 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. 19 ქულით ბომბარდირი გახდა ბექა ბექაური, ჯონათან ლის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და ოთარ ქორქიას შვილმა - ცნობილმა ვეტერანმა კალათბურთელმა, ფედერაციის გამგეობის წევრმა - ნოდარ ქორქიამ გადასცეს.







Current champion played perfectly and deserved the victory. With the leading part of Mikheil Berishvili and American legionaries – Lavell Boyd and Kiel Turpin, Dinamo brought the game to victory.

Lavell boyd led the winners with 22 points. Kiel Turpin had the best coefficient (34). He scored 20 points, 11 rebounds and 3 draws.

Mikheil Berishvili, a member of the Georgian National Team has also played perfectly. He collected 20 points, 7 rebounds and 3 steals.

Akaki Dvalishvili had a double double in Kutaisi. He scored 14 points and 10 rebounds. Beqa Beqauri was a top scorer with 19 points. Jonathan Lee had 10 points.

An awarding ceremony was held after the match. The President of the Basketball Federation, Mikheil Gabrichidze and Otar Qorqia's son, a famous veteran basketball player and the board member – Nodar Qorqia, awarded captain of Dinamo – Ilia Londaridze with a Super Cup.

GR Georgian Railway EST.1872

SUPER CUP

Dinamo Tbilisi became the winner of the Super Cup, named after a legendary Georgian basketball player – Otar Qorqia. The team, trained by Irakli Khoshtaria, defeated Kutaisi 2010 by 18 points difference – 88:70 and won the second title in the ongoing season.

ბოდნისა
აუდიტორი კონცერტი





საქართველოს თასი

საქართველოს თასის გათამაშებაში სუპერლიგის 8 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. გუნდები ტურნირისთვის სუპერლიგის 2 წრის შედეგების გათვალისწინებით შეირჩნენ. 8 საუკეთესო კენჭისყრის შედეგად მეოთხედფინალში დაწყვილდა, ხოლო სუპერლიგის ცხრილში მე-9 ადგილზე მყოფი „სოხუმი“ თასის გათამაშებაში ვერ მოხვდა.

ტურნირი ტრადიციულად ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. მეოთხედფინალური წყვილები კენჭისყრის შედეგად შემდეგნაირად განაწილდნენ: ქუთაისი - ბათუმი, დინამო - ოლიმპი, რუსთავი - მარნეული, კაკტუსი - მგზავრები.

14 და 15 თებერვალს გამართული მეოთხედფინალური სერიის მატჩები ფავორიტად მიჩნეულმა გუნდებმა მოიგეს. „დინამომ“ „ოლიმპს“ 83:71 სძლია, „ქუთაისმა“ „ბათუმს“ - 103:52, „კაკტუსმა“ „მგზავრებს - 93:79, ხოლო „რუსთავმა“ „მარნეული“ 80:74 დაამარცხა.

გარკვეული პაუზის შემდეგ, ნახევარფინალები 20 და 21 მარტს ჩატარდა. „ქუთაისმა“ „დინამოს“ უმასპინძლა და საკმაოდ იოლად - 73:53 დაამარცხა, ხოლო მეორე ნახევარფინალში „კაკტუსმა“ რუსთავში ადგილობრივი გუნდი 114:91 გაანადგურა და არსებობის მანძილზე საქართველოს თასის გათამაშების ფინალში პირველად გავიდა.

„ქუთაისი“ საქართველოს თასის მოქმედი მფლობელი გახლდათ და ტიტულის დაცვა დაძაბულ ბრძოლაში მოუხდა. როგორც საბოლოო ანგარიშიდან ჩანს (67:65), შეხვედრა საკმაოდ დაძაბული იყო. ეს განსაკუთრებით მის დასკვნით ნაწილზე ითქმის, რადგან თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ქუთაისელები წინ იყვნენ და კაკტუსელებმა ბოლო წუთებზე დაძაბეს სიტუაცია.

საბოლოოდ ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. ქულით ჩამორჩენილმა კაკტუსელებმა გადამწყვეტი შეტევა ააცილეს და შეხვედრას წერტილი ჯონათან ლის





ზუსტმა საჯარიმომ დაუსვა, რის შემდეგაც ქუთაისელები 67:65 დაწინაურდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს.
მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ქუთაისელები მედლებითა და სიგელებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ და ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა, ზაზა ღონღაძემ დააჯილდოვეს. თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ქუთისელთა ამერიკელი ლეგიონერი - ჯონათან ლი, რომელსაც სპეციალური პრიზი ვლადიმერ ბოისამ გადასცა.
მთავარი პრიზი - საქართველოს თასი - ქუთაისელთა კაპიტანმა გიორგი ბარბაქაძემ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან - პაატა გურასპაულისგან ჩაიბარა.

GEORGIAN CUP

8 best teams of the Super League were participating in the tournament. They were chosen according the results of 2 rounds. 8 best teams paired in quarter finals. Only Sokhumi, which was in the 9th place on the table, was not participating in the tournament.
The competition was held by the Olympic system. 8 teams participating in the quarter-finals were paired after voting in the following way:
Kutaisi - Batumi, Dinamo - Olimpi, Rustavi - Marneuli, Cactus – Mgzavrebi.
The quarter-final matches held on October 14th and 15th were won by the teams that were considered to be favorites. Dinamo defeated Olimpi 83:71, Kutaisi beat Batumi 103:52, Cactus won against Mgzavrebi 93:79 and Rustavi defeated Marneuli 80:74.
Semi-finals were held on March 20th and 21st. Kutaisi hosted Dinamo and defeated it quite easily – 73:53, as for a second semi-final match, Cactus beat the host team in Rustavi – 114:91 and went to the Georgian Cup finals first time in the history of existence.
Kutaisi was the owner of the Georgian Cup and had to defend the title in a tense battle as we can see from the final score (67:65). This is especially true of its final part, because Kutaisi was leading almost the entire game. Cactus strained the





situation in the last minutes.

Eventually, everything was decided at the last seconds. Cactus missed the decisive attack and Kutaisi's American legionary – Jonathan Lee ended the match with 1 precise penalty, after which, Kutaisi advanced 67:65 and gained the victory.

The awarding ceremony was held after the match. Vice-President of Georgian Basketball Federation Vladimer Boisa and Advisor to the President of the Federation Zaza Ghonghadze awarded Kutaisians with medals and certificates. Kutaisi's American Legionary – Jonathan Lee was named as the best player of the Georgian Cup and Vladimer Boisa awarded him with a special prize.

A captain of Kutaisi – Giorgi Barbaqadze received the main prize – Georgian Cup by the President of the Basketball Federation – Paata Guraspauli.

საქართველოს თასის გათამაშების ყველა გამარჯვებული / ALL WINNERS OR GEORGIAN CUP

	წელი / Year	გუნდები / Teams
1	2003	ბასკო / Basko
2	2004	დინამო / Dinamo
3	2005	სტუ / STU
4	2006	თსუ-ნიკორა / TSU Nikora
5	2007	თბილავიამშენი / Tbilaviamsheni
6	2008	თბილავიამშენი / Tbilaviamsheni
7	2009	ენერჯი ინვესტი / Energy Invest
8	2010	სსაუ / SSAU
9	2011	არმია / Army
10	2012	არმია / Army
11	2013	შსს აკადემია / MIA Academy
12	2014	ქუთაისი / Kutaisi
13	2015	დინამო / Dinamo
14	2016	დინამო / Dinamo
15	2017	ქუთაისი / Kutaisi
16	2018	ქუთაისი / Kutaisi





JRNBALEAGUE.GE

jr. NBA League

GBF

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის



საქართველოს ქალთა კალათბურთის კავშირმა სეზონი თასის გათამაშებით დაასრულა. ტრადიციისამებრ, ქალთა თასი ჩემპიონატის ფინალში გასულ გუნდებს შორის თამაშდება. შესაბამისად, გასულ სეზონში თასისთვის ერთმანეთს ჩემპიონი „დინამო“ და ვერცხლისმედალოსანი „ზაზას აკადემია“ შეხვდნენ.

ამ გუნდებს შორის გამართული ქალთა ლიგის ფინალისგან განსხვავებით, სათასო დაპირისპირებაც ვერ გამოდგა დაძაბული. დინამოელებმა, რომელთა ღირსებასაც ძირითადად 16 და 18-წლამდელთა ნაკრები გუნდების წევრები იცავდნენ, სატიტულო მატჩი დამაჯერებელი სხვაობით - 74:51 მოიგეს და საქართველოს თასს დაეპატრონნენ.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. თასის მფლობელებთან ერთად ტრადიციისამებრ, გამორჩეული მოთამაშეებიც დააჯილდოვეს.

მატჩის საუკეთესო დამცველი გახდა „დინამოს“ მოთამაშე სალომე კალანდაძე, მაყურებელთა სიმპატიის პრიზი კი ზაზას აკადემიელმა ნათია ფუტკარაძემ დაიმსახურა.

2017-2018 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე (MVP) გახდა დინამოელი ნატალია ოთხმეზური. თბილისის „დინამო“ თასით, ხოლო ინდივიდუალური ნომინაციების გამარჯვებული კალათბურთელები შესაბამისი პრიზებით ქალთა კალათბურთის კავშირის პრეზიდენტმა - ნინო ყიფშიძემ და ვეტერანმა კალათბურთელებმა - ნატო ლორიამ და ნინო კურტანიძემ დააჯილდოვეს.







WOMEN'S CUP

Georgian Women's Basketball Union finished the season with the Cup tournament. Traditionally, the Women's Cup is held between the teams that went to the finals of the championship. Accordingly, champion Dinamo and silver medalist Zaza Academy met each other for the Cup last season.

In contrast to the women's league finals held between these teams, the Cup competition did not turn out tense. Dinamo, which was mostly represented by the members of U16 and U18 teams, won with the convincing difference – 74:51 and gained a Georgian Cup.

An awarding ceremony was held after the match. Traditionally, along with the owners of the cup, distinctive players were also awarded.

Salome Kalandadze from Dinamo became the best defender of the match. Natia Putkaradze of Zaza Academy earned the prize of sympathy of the audience.

Natalia Otkhmezuri of Dinamo became the MVP of 2017-2918 seasons. Nino Kipshidze, president of Women's basketball union and veteran basketball players Nato Loria and Nino Kurtalidze awarded Dinamo with Cup and winner of individual nominations with special prizes.

Georgian Railway
EST. 1872





ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია

სუპერლიგის 2018 წლის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქცია ქუთაისში გაიმართა და ის საინტერესო ეპიზოდებით სავსე, მაყურებელთათვის საკმაოდ დასამახსოვრებელი გამოდგა. სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები ქუთაისში ოლ სტარის სათამაშოდ უკვე მეორედ შეიკრიბნენ, რითაც საკმაოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. გუნდები რეგიონალური პრინციპით დაკომპლექტდა და ერთმანეთს დედაქალაქისა და საქართველოს დანარჩენი ქალაქების გუნდებისგან შემდგარი ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

მატჩი

ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეავსეს. რეგიონის გუნდს კოტე ტუღუში (ქუთაისი) და ვლადიმერ ბოსნიაკი (ბათუმი) უძღვებოდნენ, ხოლო „თბილისს“ - ირაკლი ხოშტარია (დინამო) და არჩილ ჟღენტი (კაკტუსი).

მატჩი ტრადიციულად სანახაობრივად, ჯარიმების მაქსიმალური სიმცირით წარიმართა. ორივე გუნდის წევრები ცდილობდნენ, ქუთაისის სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივრისთვის ლამაზი სანახაობა ეჩვენებინათ, რაც თამაშის მსვლელობისას, უფრო კი ჩატენვების კონკურსისას გამოუვიდათ.

შეხვედრაში დაცვა არ არსებობდა და შესაბამისად, მაღალი ანგარიში დაფიქსირდა - 169:158 რეგიონის გუნდის სასარგებლოდ. მატჩის ბომბარდირი გახდა და საბოლოოდ უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა „ქუთაისის“ წევრმა - გიორგი ბარბაქაძემ. ქუთაისელმა ბომბარდირმა არასრულ 20 წუთში 34 ქულა მოაგროვა. 30 ქულას უწია მისმა თანაგუნდელმა აკაკი ლომოურმა, ილია შემოსიუკმა კი 27 ქულას მოუყარა თავი.





კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულს, რომელსაც 55 წელი შეუსრულდა. მატჩის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი 55-ნომრიანი საქართველოს ნაკრების მაისურითა და სპეციალური პრიზით ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, გიორგი ჭეიშვილმა დააჯილდოვა.

ჩატენვების კონკურსი

ეფექტური გდებებში ერთმანეთს ხუთი მონაწილე ეჯიბრებოდა: ტერიკ ბრიჯმენი, ბერნარდ ნკალი, ტაირელ ნელსონი, კრისტიან ჯონსონი და ბიშოპ დენიელსი. ჟიურის წევრები კი გახლდნენ ვეტერანი კალათბურთელები - გია სანაძე, ზაზა ღონღაძე, მიხეილ აბულაძე და ალეკო პეტრიაშვილი. ფინალში გავიდნენ ტაირელ ნელსონი და ბიშოპ დენიელსი. ორივე მათგანმა პირველ ეტაპზე შესანიშნავი ეფექტური გდებები წარმოადგინა. ფინალში საუკეთესო გახლდათ კლუბ სოხუმის ახალწვეული დენიელსი, რომელმაც საკმაოდ მომთხოვნი ჟიურის წევრებისგან მაქსიმალური შეფასება მიიღო.

ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა - ზაზა ღონღაძემ დააჯილდოვა.

თბილისის გუნდში 30 ქულით ბერნარდ ნკალი გამოირჩა. 26 ქულა დააგროვა მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 24 ქულა დაგროვდა.

ოლ სტარის MVP - ქუთაისელი „გიორგი ბარბაქაძე - საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

ოლ სტარის დღეს, იუბილე ჰქონდა საქართველოს

სამქულიანების კონკურსი

სამქულიანების კონკურსის მონაწილეები პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან 5-5 ბურთს ესროდნენ. 25 სროლისთვის მონაწილეს 1 წუთი ჰქონდა გამოყოფილი. თითოეული ჩაგდებული ბურთი 1 ქულად ფასობდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი 2-ქულიანი გახლდათ. პირველ ეტაპს 2 ფინალისტი უნდა გამოევლინა.





კონკურსში მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი მონაწილეობდა - გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი), რეზო ჩაჩანიძე (რუსთავი), აკაკი ლომოური (ქუთაისი), გივი ბაქრაძე (ოლიმპი), ბრაიან ბერნარდი (რუსთავი) და ილია შემოსიუკი (ბათუმი).
ფინალში რეზო ჩაჩანიძე (20 ქულა) და გიორგი ბარბაქაძე (17) გავიდნენ. გადამწყვეტი შერკინება რუსთაველმა სნაიპერმა მოიგო. ჩაჩანიძის 17 ქულა ბარბაქაძემ ვეღარ გადაფარა და ქვემოქართლური გუნდის წევრმა საპატიო ჯილდო მოიგო.
რეზო ჩაჩანიძე ვეტერანმა სნაიპერმა - გია სანაძემ დააჯილდოვა.

There was no defense in the match, accordingly, a high score was observed – 169:158 in favor of the regional team. Member of Kutaisi – Giorgi Barbaqadze became the top scorer and eventually earned the prize for being the most valuable player. He scored 34 points in less than 20 minutes. His teammate – Akaki Lomouri had 30 points, Illya Shemosiuk collected 27 points. Bernard Nkal was the most effective with 30 points in Tbilisi's team, Mikheil Berishvili scored 26 points, Ilia

ALL STAR 2018

The Super League match of All Star 2018 was held in Kutaisi and it was quite memorable for the audience, filled with interesting episodes. The best players of Super League gathered in Kutaisi for the second time to play All Star match, which is a good tradition. The teams were composed due to regional principles and Tbilisi's team competed with teams of other towns and cities of Georgia.

THE MATCH

Participants for All Star were chosen as a result of a survey on the Superleague web page, and the coaches filled the rest of the teams. The regional team was led by Kote Tugushi (Kutaisi) and Vladimer Bosniak (Batumi), while Tbilisi was led by - Irakli Khoshtaria (Dinamo) and Archil Zhgenti (Cactus).
The match was traditionally spectacular, with the low amount of fines. Through the game and mostly, during the slam-dunk contest, the members of both teams tried to show a beautiful performance for the fans, gathered in Kutaisi Sports Palace.





Londaridze had 24 points.
MVP of All Star - Giorgi Barbakadze from Kutaisi was awarded by Paata Guraspauli, the President of Georgian Basketball Federation.
On the day of the All-Star, Paata Guraspauli, the president of the Georgian Basketball National Federation, has been celebrating his 55th birthday. After the match, Giorgi Cheishvili, a majoritarian MP from Kutaisi City Council, awarded the president with special prize and national team's T-shirt with the number of 55 on it.

SLAM-DUNK CONTEST

Five of the participants - Terik Bridgeman, Bernard Nkal, Tyrell Nelson, Christian Johnson and Bishop Daniels were competing in a slam-dunk contest. The jury members were veteran basketball players - Gia Sanadze, Zaza Ghonghadze, Mikheil Abuladze and Aleko Petriashvili. Tyrell Nelson and Bishop Daniels went to the final stage. Both of them presented the excellent performances at the first stage. Daniels from the club Sokhumi became the winner. He took the highest scores from the most demanding jury members.
Executive Director of Tbilisi Basketball Development Union - Zaza Ghonghadze awarded the winner of the slam dunk competition.

THREE-POINTERS CONTEST

Participants of the three-pointers competition were shooting 5-5 balls from the 5 different points of the perimeter. Each participant had 1 minute to shoot 25 times. Each ball was rated at 1 point and the final shot from each point was 2 points. The first stage should have revealed 2 finalists.
6 best shooters of the current Superleague - Giorgi Barbaqadze (Kutaisi), Rezo Chachanidze (Rustavi), Akaki Lomouri (Kutaisi), Givi Baqradze (Olimpi), Brian Bernard (Rustavi) and Illya Shemosiuk (Batumi) participated in the competition.
Rezo Chachanidze (20 points) and Giorgi Barbaqadze (17) went to the final. Chachanidze won the decisive fight with 17 points and became the owner of the honorary award.
Veteran shooter - Gia Sanadze awarded Rezo Chachanidze.



სატურნირო ცხრილი

თბილისი TBILISI

მწვრ.: ირაკლი ხოშტარია ასისტ.: არჩილ ჟღენტი
Main Coach: Irakli Khoshtaria Assist.: Archil Zhghenti

	მოთამაშე / Player	გუნდი / Team
1	ნოდარ გოგოძე Nodar Gogodze	ოლიმპი Olimpi
2	მერაბ ბოქოლიშვილი Merab Bokolishvili	მგზავრები Mgzavrebi
3	მიხეილ ბერიშვილი Mikheil Berishvili	დინამო Dinamo
4	ანატოლი ბოისა Anatoli Boisa	კაკტუსი Cactus
5	ილია ლონდარიძე Ilia Londaridze	დინამო Dinamo
6	კრისტიან ჯონსონი Christian Johnson	კაკტუსი Cactus
7	ტერიკ ბრიჯმანი Terik Bridgeman	კაკტუსი Cactus
8	დეონდრე პარკსი Deondre Parks	კაკტუსი Cactus
9	ადრიან ბოუი Adrian Bowie	მგზავრები Mgzavrebi
10	კახაბერ ჯინჭარაძე Kakhaber Jincharadze	მგზავრები Mgzavrebi
11	ბერტნარდ ნკალი Bertrand Nkali	მგზავრები Mgzavrebi
12	გივი ბაქრაძე Givi Bkradze	ოლიმპი Olimpi

რეგიონი REGIONS

მწვრ.: კოტე ტუღუში ასისტ.: ვლადიმერ ბოსნიაკი
Main Coach: Kote Tughushi Assist.: Vladimir Bosnjak

	მოთამაშე / Player	გუნდი / Team
1	ბექა წივწივაძე Beka Tsivtsivadze	ქუთაისი Kutaisi
2	დეჯუან რაითი DeJuan Wright	ქუთაისი Kutaisi
3	გიორგი ბარბაქაძე Giorgi Barbakadze	ქუთაისი Kutaisi
4	აკაკი ლომოური Akaki Lomouri	ქუთაისი Kutaisi
5	აკაკი დვალიშვილი Akaki Dvalishvili	ქუთაისი Kutaisi
6	ბიშოპ დენიელსი Bishop Daniels	სოხუმი Sokhumi
7	ტაირელ ნელსონი Tyrell Nelson	რუსთავი Rustavi
8	ბრაიან ბერნარდი Bryan Bernard	რუსთავი Rustavi
9	ილია შემოსიუკი Illya Shemosiuk	ბათუმი Batumi
10	რევაზ ჩაჩანიძე Revaz Chachanidze	რუსთავი Rustavi
11	ლევან ცეკვავა Levan Tsekvava	რუსთავი Rustavi
12	სპენსერ კოლინსი Spencer Collins	ბათუმი Batumi

PSP

THE MEMBER OF

PSP GROUP

https://www.facebook.com/GeoBasketball

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
GEORGIAN BASKETBALL FEDERATION

შემოგვიერთდი





თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება. ამ ორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობები უკვე 6 წელს ითვლის, რომლის განმავლობაშიც კალათბურთის განვითარების კავშირი დედაქალაქის ასაკობრივი ჩემპიონატებისა და „ბ“ ლიგების ჩატარებას უზრუნველყოფს.

ეს ტურნირები, განსაკუთრებით კი „ბ“ ლიგა, წლიდან წლამდე პოპულარული ხდება და მასში სხვადასხვა რეგიონის გუნდები ერთვებიან. სანამ სტარტს „ბ“ ლიგის ასაკობრივი ჩემპიონატები აიღებდეს, სეზონის დასაწყისში დედაქალაქის პირველობები იმართება.

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ორგანიზებით გამართული თბილისის პირველობები 14-წლამდელებით გაიხსნა. აღნიშნულ ასაკში პირველობა არავის დაუთმო „ჰიუნდაიმ“, რომელმაც ფინალში „დინამოს“ აჯობა. დინამოელებმა მოიგეს თბილისის მომდევნო - 16-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალში „დინამომ“ ზაზა ფაჩულიას აკადემიის გუნდი დაამარცხა. თავის მხრივ, ზაზას აკადემიის დომინირებით ჩაიარა 18-წლამდელთა დედაქალაქის პირველობამ. ფინალში ერთმანეთს ამ სკოლის გუნდები შეხვდნენ. ზაზას აკადემიის პირველმა გუნდმა მეორეს სძლია და დედაქალაქის ჩემპიონი გახდა.

თბილისის ასაკობრივი ჩემპიონატებიდან საქართველოს ეროვნულ პირველობაზე დაწესებული კვოტით საუკეთესო გუნდები გავიდნენ. ხოლო დანარჩენებმა „ბ“ ლიგაში გადაინაცვლეს. სწორედ გასულ წელს სეზონში დაფიქსირდა გუნდების რაოდენობის მხრივ რეკორდი.





„ბ“ ლიგის 3 ასაკობრივ ჩემპიონატში მთლიანობაში 81 გუნდი მონაწილეობდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მონაწილეთა გეოგრაფიაც და თუკი აქამდე დედაქალაქთან ერთად ძირითადად ქუთაისის, რუსთავის, თელავის, ხაშურის და გორის გუნდები ასპარეზობდნენ, გასულ სეზონში ლიგაში ამბროლაურის, კასპის და ბორჯომის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ.

„ბ“ ლიგის ასაკობრივმა ჩემპიონატებმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. 14-წლამდელთა გათამაშებაში ყველაზე მეტი - 30 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან ფინალში „ქუთაისი 2“ და „ოვერტაიმი“ გავიდნენ. ორმატჩიანი ფინალური სერია ქუთაისელებმა მოიგეს და ჩემპიონები გახდნენ.

ქუთაისის გუნდის გამარჯვებით დასრულდა 16-წლამდელთა გათამაშებაც. იმერლებმა ფინალში თელავის გუნდი დაამარცხეს. ფინალური სერიის ორივე მატჩში „ქუთაისმა“ მოიგო და პირველობა არავის დაუთმო.

რაც შეეხება 18-წლამდელებს, ამ ასაკის „ბ“ ლიგის გათამაშებამ „დინამო 3“-ის დომინაციით ჩაიარა. დინამოელებმა ტურნირი წაუგებლად დაასრულეს, ხოლო ფინალში „თელავს“ სძლიეს და ჩემპიონის ტიტულს დაეპატრონნენ.

TBILISI BASKETBALL DEVELOPMENT UNION

The cooperation of the Georgian Basketball National Federation and the Tbilisi Basketball Development Union successfully continues. There have been the business relationships between these organizations for already 6 years, during which the Basketball Development Union provides youth championships of the capital city and B leagues.

These tournaments, especially B League, are becoming popular from year to year and teams of different regions are involved in it. Before the start of the B leagues, the youth championships are held at the beginning of the season.

Tbilisi's tournaments organized by Tbilisi Basketball Development Union was opened by U14 championship. At this





age, Hyundai which defeated Dinamo in the final, did not give up the first place. Dinamo Tbilisi won the following U16 Championship. They defeated Zaza Pachulia Academy team in the finals. In turn, Zaza Academy dominated in U18 championship. Two teams of this school met in the finals. The first team of Zaza Academy defeated the second and became the champion of Tbilisi.

The best teams from Tbilisi youth championships went to the national championship with the imposed quota. While the others moved to the B league. There was the record for the number of teams last year. 81 teams in total participated in the B League championships. The geography of the participants has significantly increased as well, and if there had been Tbilisi, Kutaisi, Rustavi, Telavi, Khashuri and Gori teams participating in the tournament before, Ambrolauri, Kaspi and Borjomi representatives also joined the league in the last season.

B league's youth championships went quite interesting. 30 teams were taking part in U14 championship out of which Kutaisi 2 and Overtime went to the finals. Kutaisi players won the 2-match final series and became champions.

U16 championship has also finished with the victory of Kutaisi team. Imeretians defeated Kakhetians in the final. Kutaisi won both games in the final series and eventually, became champions.

As for U18, B league of this age championship was dominated by Dinamo 3. Dinamo players lost no match in the tournament, then they defeated Telavi in the finals and won the championship title.



GR Georgian Railway EST. 1872

თბილისის ჩემპიონატი / TBILISI CHAMPIONSHIP

U-18

ზაზა 2 ZAZA 2 94
თსუ 2 TSU 2 46
ორბი ORBI 69
იბერი IBERI 73

82
45

55

FINALS

63

71
68

ზაზა 1 ZAZA 1 87
აკადემია ACADEMY 83
ჰიუნდაი HYUNDAI 83
მართვე 1 MARTVE 1 58

III ადგილი / III PLACE

69 — 77

U-16

ზაზა 1 ZAZA 1 83
ოვერტაიმი OVERTIME 58
ჰიუნდაი HYUNDAI 87
მართვე MARTVE 56

81
32

59

FINALS

100

102
74

დინამო DINAMO 88
ორბი ORBI 64
აკადემია 1 ACADEMY 1 106
ზაზა 2 ZAZA 2 56

III ადგილი / III PLACE

54 — 75

U-14

აკადემია 1 ACADEMY 1 51
იბერი IBERI 69
ჰიუნდაი HYUNDAI 70
აქსე-ვინგზი AXE-WINGS 52

45
78

81

FINALS

74

79
86

ზაზა 2 ZAZA 2 67
ჰიუნდაი 2 HYUNDAI 2 68
ზაზა 1 ZAZA 1 63
დინამო DINAMO 72

III ადგილი / III PLACE

96 — 65

B-ლიგა / B-LEAGUE

U-18



U-18



III ადგილი / III PLACE



U-18



B-ლიგა / B-LEAGUE

U-16



U-16



III ადგილი / III PLACE



U-16



B-ლიგა / B-LEAGUE

U-14

მარტვე 1
MARTVE 1
65

იბერი
IBERI
57

56
82

ორბი 1
ORBI 1
57

ოვერტაიმი
OVERTIME
71

53:80

75:75

ქუთაისი 2
KUTAISI 2
72

კასპი
KASPI
46

73
48

ბასტიონი
BASTIONI
64

მაკაბი
MAKABI
58

U-14

ქუთაისი 1
KUTAISI 1
68

ქუთაისი 2
KUTAISI 2
75

FINALS

III ადგილი / III PLACE

აკადემია
ACADEMY
58

ოვერტაიმი
OVERTIME
63

U-14

აკადემია 2
ACADEMY 2
85

თელავი
TELAVI
37

67
56

საირმე
SAIRME
47

ზაზა 1
ZAZA 1
48

51:76

63:71

ქუთაისი 1
KUTAISI 1
51

რუსთავი
RUSTAVI
50

66
44

აკადემია 1
ACADEMY 1
55

დინამო
DINAMO
60

WWW.GBF.GE



FOLLOW @GBF



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილება

საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირმა გასულ წელს 3 მსხვილი პროექტი განახორციელა, რომელთაგან პირველი - საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგთა გადამზადებას ეხებოდა. აღნიშნული პროექტი მწვრთნელთა კავშირმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან ერთად განახორციელა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ზემოთხსენებული პროექტის რეკომენდაციების გათვალისწინებით გადამზადების სპეციალური პროგრამა შეიმუშავა - სახელწოდებით: „კალათბურთის გაკვეთილები სკოლის სპორტის მასწავლებლებისთვის“. აღნიშნული პროგრამის მიხედვით საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 500 სკოლის მასწავლებელი გადამზადდა, რომლებსაც კალათბურთის გაკვეთილების ჩატარებისთვის საჭირო სერთიფიკატები გადაეცათ.

პროგრამამ საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა, სადაც მწვრთნელთა კავშირის წარმომადგენლები პერიოდულად ჩადიოდნენ და გამოცდილი ქართველი მწვრთნელების დახმარებით სკოლის მასწავლებლებს სემინარებს უტარებდნენ.

კავშირის ორგანიზებით წარმატებით გაგრძელდა 2 წლის წინ დაწყებული მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 300-მდე მწვრთნელმა მიიღო C კატეგორიის ლიცენზია. აღნიშნული ლიცენზია 14 წლამდე მოზარდებში მუშაობისთვისაა საჭირო, ხოლო გასული სეზონიდან





დაიწყო მეორე ეტაპი, რომელიც B კატეგორიის ლიცენზიას გასცემს და მის მფლობელებს 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებთან მუშაობის უფლებას ანიჭებს. მეორე ეტაპის გამოცდები გაიმართა ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში, რომლებშიც C კატეგორიის მქონე მსაჯების მხოლოდ ნაწილმა მიიღო მონაწილეობა.

B კატეგორიის სალიცენზიო გამოცდები მომავალ სეზონშიც გაგრძელდება.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის, მწვრთნელთა კავშირისა და ფიბა-ს საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში, ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელების 2017 წელს დაწყებული საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობა 2018-შიც გაგრძელდა. დავით როგავა და დიმიტრი ჟაკობოვი ფიბა-ს ყველაზე პრესტიჟულ სამწვრთნელო პროგრამაში (FIBA Europe Coaching Certificate (FECC) შარშან ჩაებნენ და 2017 წელს მონტენეგროში, ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატის მსვლელობის პარალელურად მიმდინარე პროგრამის პირველი ეტაპი გაიარეს, მეორე ეტაპი კი გასულ ივლისს, ლატვიაში ჩატარდა, სადაც ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართა.

დავით როგავას და დიმიტრი ჟაკობოვს ლატვიაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობები უწევდათ. საღამოს კი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დღის ცენტრალურ მატჩებს ესწრებოდნენ და ევროპელ სპეციალისტებთან ერთად სხვადასხვა ტაქტიკურ თუ სათამაშო კომპონენტს განიხილავდნენ.

პროგრამას წამყვანი ევროპელი მწვრთნელები უძღვებოდნენ, რომელთაგან გამოსარჩევია პაბლო ლასო, რომელმაც გასულ წელს მადრიდის „რეალს“ ევროლიგა და ესპანეთის ჩემპიონატი მოაგებინა.

მომავალ წელს FECC-ის პროგრამის ბოლო, მე-3 ეტაპი ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პარალელურად გაიმართება, რისი დასრულების შემდეგაც ჩატარდება შემაჯამებელი გამოცდები, რომელთა წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პროგრამის მონაწილეები ფიბა-ს შესაბამის სამწვრთნელო სერთიფიკატს მიიღებენ.







GEORGIAN BASKETBALL COACHES' UNION

Georgian Basketball Coaches' Union carried out three major projects last year, the first of which was about training of the public schools' teachers of physical culture. This project was implemented by the Coaches' Union together with the Ministry of Education and Science of Georgia, as well as the Ministry of Sports and Youth Affairs.

Taking into consideration the recommendations of this project, Georgian Basketball National Federation developed a special program of retraining, called "Basketball lessons for school teachers of physical culture". According to the program, about 500 school teachers were trained all around Georgia. They were awarded certificates for holding basketball lessons.

The program covered all regions of Georgia, where representatives of the Coaches' Union were periodically visiting and training school teachers with the help of experienced Georgian coaches.

With the organization of the union, successfully continued the retraining and licensing program, started 2 years ago, within the frameworks of which more than 300 coaches received a C category license. This license is required for working with children of under 14 years. The second stage started from the last season, which grants the B category licenses and gives its owners the right to work with 14 to 18 years old teenagers.

The second stage exams were held in Batumi, Kutaisi and Tbilisi, in which participated only part of the referees with C category. B category license exams will continue in the next season.

Within the frameworks of business relations of the Georgian Basketball National Federation, Coaches' Union and FIBA, young Georgian coaches' participation in the international program started in 2017 continued in 2018. Davit Rogava and Dimitri Jakobov were involved in FIBA's most prestigious training program (FIBA Europe Coaching Certificate (FECC)) last year and in 2017, they participated in the first stage of the program, which was going on in parallel with the European U16 Championship in Montenegro. The second stage was held in Latvia last July, where European U18 Championship was organized.

Davit Rogava and Dimitri Jakobov had theoretical and practical trainings in Latvia. In the evenings they were attending the principal matches of U18 European Championship and discussed various tactical and gambling components with European specialists.

The program was guided by leading European coaches, from which the distinctive one was Pablo Lazo, who led Real Madrid to win Euro league and Spanish championship this year.

Next year, the 3rd stage of the FECC program will be held in parallel with the European U20 Championship, after which the final exams will be held, and the successful participants will receive FIBA's suitable coaching certificate.

მედიცინის ლიდერი 1994 წლიდან

PSP №1 ჩემი ოჯახის აფთიაქი

თანამშრომლების მუდმივი განვითარების ხელშეწყობა, საკუთარი ტრენინგცენტრი;

GMP 2000 წ.

პირველი საერთაშორისო ფარმაცევტული სტანდარტის საწარმო ამიერკავკასიაში; აწარმოებს 150-ზე მეტ დასახელებას ექსპორტზე გადის მსოფლიოს 14 ქვეყანაში.



მუდმივად განვითარებადი ქსელი

220-ზე მეტი აფთიაქი საქართველოს ყველა კუთხესა და დედაქალაქის ყველა უბანში



მედიკამენტების და ფრანგული და ევროპული ბრენდების კოსმეტიკური პროდუქტების, ბავშვთა კვების და მოვლის საშუალებების მრავალფეროვანი არჩევანი.



PSP დაზღვევა 2010 წ.

150-ზე მეტი კომპანიის 250 ათასზე მეტი დაზღვეული. ახორციელებს სრულ ონლაინ სადაზღვევო მომსახურებას.

NEW HOSPITALS 2011 წ.

მრავალპროფილური ევროპული სტანდარტის 150 საწოლიანი ჰოსპიტალი. ამბულატორია - 1000 პაციენტზე. 2019 წლიდან 'ნიუ ჰოსპიტალში' ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი ფუნქციონირებს სრული პედიატრიული მომსახურებით.



ინოვატორი
"უფრო მეტი ვიდრე აფთიაქი"



5000-ზე მეტი თანამშრომელი, რომელიც ამაყობს პეესპელობით



მომხმარებელზე ორიენტირებულობა

www.psponline.ge www.psp.ge www.fb.com/psp.ge (032) 2 40 20 20 *20 20



საქართველოს მსაჯთა კავშირი

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ქართველი მსაჯების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ცნობილი სერბი სპეციალისტი მოიწვია. ფედერაციაში, მსაჯთა ეროვნულ ინსტრუქტორად ჩამოვიდა ცნობილი არბიტრი, წლების მანძილზე ევროპის წამყვანი სანაკრებო და საკლუბო ტურნირების ერთ-ერთი გამორჩეული მსაჯი, დრაგან ნეშკოვიჩი.

მოქმედ არბიტრთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად დრაგან ნეშკოვიჩის ძირითადი მოვალეობა ახალი მსაჯების მოძიებაა. სერბი სპეციალისტის ძალისხმევით, ბოლო ერთ წელიწადში ქართველი მსაჯების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათი უმეტესობა ახალგაზრდაა. ნეშკოვიჩი მსაჯობის დაწყების მსურველთა ჯგუფებს, სისტემატიურად ამზადებს და მათგან გამორჩეულებს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში სამსაჯოდ გზას უხსნის.

გასულ სეზონში ქართულ სამსაჯო კორპუსს ათამდე ახალგაზრდა არბიტრი შეემატა და მათი რაოდენობა პერმანენტულად იზრდება. ამასთან, დრაგან ნეშკოვიჩმა მსაჯებისთვის შემოიღო სეზონისწინა ტესტირება როგორც თეორიული ცოდნის გასამყარებლად, ისე სათანადო ფიზიკურ ფორმაში ჩასადგომად. 2018-2019 წლების სეზონის წინ როგორც დამწყებმა, ისე მოქმედმა მსაჯებმა გამოცდები ჩააბარეს კალათბურთის წესებში, რასაც ფიტნეს-ტესტები მოჰყვა.

სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდა ფიბა-ს მსაჯთა რეგიონალური ინსტრუქტორი რუშთუ ნურანი, რომელმაც დრაგან ნეშკოვიჩთან ერთად ქართველ მსაჯებს სემინარები ჩაუტარა იმ სიახლეების შესახებ, რაც კალათბურთის წესებში ყოველი სეზონის წინ მეტ-ნაკლები დოზით ხორციელდება.

დრაგან ნეშკოვიჩი საქართველოში მუშაობას მომავალ სეზონშიც აგრძელებს და მსაჯთა კორპუსში არაერთ პროგრესულ ნაბიჯს გეგმავს, ამასთან, ახალგაზრდა არბიტრების მოძიებასა და მათ მომზადებას აქტიურად განაგრძობს.



GEORGIAN REFEREES' UNION

Georgian Basketball National Federation invited a well-known Serbian specialist to raise the qualification of Georgian referees. A well-known referee arrived as a national instructor of referees in Georgia. Dragan Neskovic is one of the most prominent referees of Europe's leading club and national tournaments.

Along with increasing the qualification of current referees, Dragan Neskovic's main duty is to find new referees. With the efforts of the Serbian specialist, the number of Georgian referees has increased significantly in the last one year and most of them are young. Neskovic gathers the groups of those, who wish to start refereeing, trains them systematically and sends distinctive ones to the youth championships.

Last year, the Georgian Refereeing Corps was joined by about ten young referees and their number is increasing permanently. In addition, Dragan Neskovic implemented exams before the season both for strengthening theoretical knowledge and being in the appropriate physical form. Before the 2018-2019 season, both the beginner and the acting referees passed the exams in basketball rules, followed by fitness tests.

Rustu Nuran - Regional Instructor of FIBA Referees arrived in Georgia due to the start of the season. They held seminars with Dragan Neskovic for Georgian referees about the novelties in basketball rules, which are implemented prior to each season.

Dragan Neskovic continues to work in Georgia in the next season and plans to make a number of progressive steps in the refereeing corps. He also continuously pursuing the search and preparation of young referees.

Georgian Railway
EST. 1872

ბოდნისა
აუდიტორი კონცერტი

adjarasport.com



სამუშაო შეხვედრა ფიბაში

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები ფიბა-ს მარკეტინგისა და კომუნიკაციების სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ, რომელსაც გერმანიის ქალაქმა მიუნხენმა უმასპინძლა. მსოფლიო კალათბურთის მმართველი ორგანიზაციის შეკრებას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მედიისა და მარკეტინგის ხელმძღვანელები - თამარ რუაძე და ნინო გურული დაესწრნენ.

ფიბას 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფარგლებში ჩატარებული ეროვნული ფედერაციების მარკეტინგისა და კომუნიკაციების სემინარზე საინტერესო შეფასებები გაჟღერდა.

ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოჩენილ იქნა დიდი ინტერესი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მუშაობა შეფასდა დადებითად, რომელმაც ფიბა-ს მაყურებელთა დასწრებადობის რეიტინგში ევროპის ქვეყნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა (9000 მაყურებელი).

გერმანიასთან ჩატარებულ საშინაო მატჩზე ფიბა-ს მიერ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული რეგულაციების და სტანდარტების დაცვა. აგრეთვე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა სოციალური მედიის კუთხითაც. ფიბა-ს და სხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციების თხოვნით, აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით განხორციელებული მარკეტინგული და მედია ოპერაციები გაზიარებულ იქნა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლების მიერ.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ჯგუფურ მუშაობაში. სემინარებზე აგრეთვე განხილულ იქნა 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ფანჯრის მოსამზადებელი გეგმა.

FIBA WORKSHOP

Representatives of Georgian Basketball National Federation attended the Marketing and Communications Workshop of FIBA, which was hosted by Munich, German. Tamar Ruadze and Nino Guruli, heads of Media and Marketing of Georgian Basketball Federation attended the meeting of the World Basketball Managing Organization.

Interested assessments were made at the Marketing and Communications Seminar of National Federations held within FIBA World Cup Qualifiers 2019.

Our country was under a great interest and the work of the Georgian National Basketball Federation was positively assessed. Georgia took the first place among the European countries in the rankings of audience (9000 spectators).

On the home game against Germany, regulations and standards was highly rated by FIBA. High activity was also observed in terms of social media. According to the request of FIBA and other national federations, marketing and media operations carried out on these topics were shared by the representatives of the Georgian Basketball Federation.

Heads of marketing and communications of Georgian Basketball Federation participated in various team works. There was also discussed the preparation plan for a third window of World Cup Qualifiers 2019.

თურგაი დემირელის ვიზიტი



ევროპის კალათბურთის ფედერაციის (FIBA-Europe) პრეზიდენტი და საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ვიცე-პრეზიდენტი თურგაი დემირელი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვია.

დემირელს სამინისტროში უმასპინძლა კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მოადგილე შალვა გოგოლაძესთან ერთად. შეხვედრას დაესწრნენ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული და გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი.

მინისტრმა სტუმარს საქართველოში ჩამოსვლისთვის მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ქვეყნის სურვილი უმასპინძლოს ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მატჩებს. მინისტრის თქმით, ამისთვის აუცილებელია მთავრობისა და კალათბურთის ფედერაციის ერთობლივი თანამშრომლობა და FIBA-ს დირექტივების გათვალისწინება.

თავის მხრივ, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ისაუბრა საქართველოს შანსებზე და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანა შეძლებს FIBA-ს მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

ევროპის 2021 წლის საკალათბურთო ჩემპიონატი 4 ქვეყანაში უნდა ჩატარდეს. მასპინძელი ქვეყნები ჯერჯერობით არ შერჩეულან. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ საქართველო განხილულ იქნას როგორც ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატი.

თურგაი დემირელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს დაესწრო, სადაც საქართველოს მეტოქე სერბეთის ნაკრები იყო.

TURGAY DEMIREL VISIT

President of the European Basketball Federation (FIBA-Europe) and Vice-President of the International Federation (FIBA) Turgay Demirel paid an official visit to Georgia.

The Minister of Culture and Sports, Mikheil Giorgadze together with Deputy Minister, Shalva Gogoladze, hosted Demirel. The meeting was attended by the President of the Basketball National Federation Paata Guraspauli and the Secretary General Giorgi Kartvelishvili.

The Minister thanked the guest for arriving in Georgia and reaffirmed our country's desire to host the group stage matches of the 2021 European Championship. According to the minister, joint cooperation of the government and basketball federation is necessary and we should consider FIBA directives.

In turn, the Vice-President of the Basketball International Federation spoke about the chances of Georgia and expressed hope that the country will be able to fully satisfy FIBA's requirements.

The 2021 European Basketball Championship will be held in 4 countries. The host countries have not yet been selected. Accordingly, Georgia may be considered as one of the candidates for hosting the championship.

Turgay Demirel attended the World Cup Qualifying match, where Georgia's rival was Serbia.





ტიფლისტექსი
TIFLISTEX

კომპანია „ტიფლისტექსი“ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების პარტნიორი გახდა

„ტიფლისტექსის“ ფაბრიკა არის მაღალტექნოლოგიური ინვენტარით აღჭურვილი და აწარმოებს უმაღლესი ხარისხის ყველა სახის წინდებს. აღნიშნული კომპანია საქართველოს ნაკრებს სპორტული წინდებით ამარაგებს.

თანამშრომლობის მემორანდუმი გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე „ტიფლისტექსის“ ფაბრიკაში გაფორმდა.

სანამ დოკუმენტს ხელი მოეწერებოდა, „ტიფლისტექსის“ დირექტორმა, გიორგი გაჩეჩილაძემ სტუმრებს საწარმო და სამუშაო პროცესი დაათვალიერებინა. ფაბრიკას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი და ნაკრების მოთამაშეები – აკაკი დვალიშვილი და ნიკა დარბაიძე ესტუმრნენ.

ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა – პაატა გურასპაულმა და „ტიფლისტექსის“ დირექტორმა – გიორგი გაჩეჩილაძემ მოაწერეს.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გაჩეჩილაძეს ეროვნული ნაკრების მაისური და მოთამაშეთა ხელმოწერებით დამშვენებული ბურთი უსახსოვრა.





COMPANY "TIFLIS TEX" BECAME A PARTNER OF GEORGIAN BASKETBALL NATIONAL TEAM

The company's factory is equipped with high-tech inventory and produces all kinds of high quality socks. Tiflis tex is supplying Georgian National Team with sport socks.

Memorandum of Cooperation was signed in the Tiflis Tex factory, located on Grigol Lortqipanidze Street.

Director of Tiflistex - Giorgi Gachechiladze hosted the guests to view the factory and working process before the document was signed. President of the Georgian Basketball National Federation Paata Guraspauli, Secretary General Giorgi Qartvelishvili, Vice President Vladimir Boisa, head coach of the national team Ilia Zuros and players of the team Akaki Dvalishvili and Nika Darbaidze visited the factory.

After visiting the factory, a memorandum of cooperation was signed. The document was signed by the President of the Basketball Federation - Paata Guraspauli and Director of Tiflis Textile - Giorgi Gachechiladze.

President of the basketball federation presented a national team T-shirt and the ball with the signature of the national team members.

adjarasport.com





საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი საქმიანი ვიზიტით სამცხე–ჯავახეთს ესტუმრა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ კახა სამხარაძესთან და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან - ზაზა მელიქიძესთან მოაწყო.

პაატა გურასპაული ახალციხეს მსოფლიოს ჩემპიონ ნიკოლოზ დერიუგინთან, სამცხე-ჯავახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ტომარაძესთან და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან - ზაზა ღონღაძესა და ალეკო პეტრიაშვილთან ერთად ესტუმრა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ მსოფლიოს ჩემპიონი და კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ადმინისტრაციის შენობაში მიიღო, სადაც გაიმართა საუბარი რეგიონში კალათბურთის განვითარებასთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და ახალციხეში მწვრთნელთა გადამზადებასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა ბორჯომ-პარკის დირექტორი ლაშა ცაგარეიშვილი და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ყოფილი კალათბურთელი გიორგი ბეროშვილი, რომელიც ახალციხელ მოზარდებს კალათბურთში ავარჯიშებს.

საუბარი შეეხო კონკრეტულ მიმართულებებს, რაზეც მხარეები იმუშავებენ, რათა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სპორტული, კერძოდ კი კალათბურთის მაღალი დონის ინფრასტრუქტურა მოეწყოს. დაიგეგმა მომავალი ნაბიჯები, რის შემდეგაც პაატა გურასპაულმა გუბერნატორს მისი სახელობის ეროვნული ნაკრების მაისური გადასცა. კახა სამხარაძეს ფედერაციის წარმომადგენლებმა ნაკრების წევრთა ხელმოწერებით დამშვენებული საკალათბურთო ბურთი აჩუქეს.

გუბერნატორის ადმინისტრაციაში შეხვედრის შემდეგ კახა სამხარაძე და კალათბურთის სფეროს წარმომადგენლები ახალციხის სპორტსკოლას ესტუმრნენ, სადაც მათ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, ზაზა მელიქიძე შეუერთდა. ახალციხის მერმა კონკრეტული გეგმა წარმოადგინა, თუ როგორ მოხდება სპორტსკოლაში საკალათბურთო დარბაზის რეაბილიტაცია. დარბაზი, რომელიც სრულიად სარემონტოა და რომელიც მხოლოდ ვარჯიშზეა გათვლილი, რეკონსტრუქციის შემდეგ სათამაშო არენად გადაიქცევა. ორივე მხრიდან დარბაზს მოენგრევა კედლები და მიშენდება ტრიბუნები, გარემონტდება საშხაპეები და აუცილებელი ინფრასტრუქტურა, ხოლო კალათბურთისთვის აუცილებელ ატრიბუტიკას - ფარებს, ბურთებს და ბადეებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს.

ახალციხის სპორტსკოლის შესასვლელში დიდ ქართველ სპორტსმენებთან ერთად ნიკოლოზ დერიუგინის ფოტოსურათია გამოფენილი, რომლის ნახვაც ცოცხალი ლეგენდისთვის ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. ნიკოლოზ დერიუგინთან სამახსოვრო სურათის გადაღების მსურველი ახალციხეში ბევრი აღმოჩნდა.

THE PRESIDENT OF GEORGIAN BASKETBALL FEDERATION VISITS SAMTSKHE-JAVAKHETI



The President of Georgian Basketball Federation Paata Guraspauli has held a working meeting with Samtskhe-Javakheti governor, Kakha Samkharadze and Mayor of Akhaltsikhe municipality, Zaza Melikidze.

Paata Gurasapuri visited Akhaltsikhe with world champion Nikoloz Derugin, Samtskhe-Javakheti basketball federation president Zura Tomaradze and representatives of Georgian basketball federation Zaza Ghonghadze and Aleko Petriashvili.

Samtskhe-Javakheti governor Kakha Samkharadze received the World Champion and Basketball Federation representatives at the administration building, where they discussed development of basketball in the region, infrastructural projects, trainings and promotion of coaches in Akhaltsikhe. Borjomi-Park director Lasha Tsagareishvili and the majoritarian MP of Akhaltsikhe Municipality, former basketball player Giorgi Beroshvili, who trains children in basketball, attended the meeting.

Discussions focused on specific areas, where the parties will work to arrange a high level of sports infrastructure, particularly basketball in Samtskhe-Javakheti region. The next steps were planned, after which Paata Guraspauli handed the governor T-shirt of the national team with his name on it. Kakha Samkharadze was awarded with a basketball ball with signatures of the members of the team.

After meeting in the governor's administration Kakha Samkharadze and representatives of basketball sphere visited Akhaltsikhe sport school, where they met the mayor of Akhaltsikhe municipality Zaza Melikidze. The Mayor of Akhaltsikhe presented a specific plan on how to rehabilitate the basketball hall in the sports school. The hall, which is completely refurbished and which is only meant for training, will become a playground after reconstruction. The walls will be demolished on both sides and the tribunals will be built, showers and the necessary infrastructure will be repaired. Georgian basketball federation will provide the necessary attributes for basketball.

Along with great Georgian sportsmen, Nikoloz Derugin's photo was also shown at the entrance of Akhaltsikhe sport school, which was very pleasant to the living legend. Many people wanted to take a memorable picture with Nikoloz Derugin in Akhaltsikhe.





ბორჯომი #სპორტის გულშემატკივარი

ქართული მინერალური წყლის კომპანია “ბორჯომის” პროექტის: #ბორჯომისპორტისგულშემატკივარი ფარგლებში 3×3 საკალათბურთო ტურნირი ჩატარდა. ტურნირს უმასპინძლა ბორჯომის სპორტულმა სტადიონმა, რომელიც კომპანია “ბორჯომისა” და Mercy Corps-ის დაფინანსებით, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით 2017 წელს გაიხსნა.

კომპანია “ბორჯომს” ტურნირის ორგანიზებაში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაეხმარა, რომელმაც ბორჯომში 3×3 კალათბურთის გადასატანი მოედანი ჩაიტანა და ზემოთხსენებულ სტადიონზე დააგო. აქტივობა სოლიდური იყო: ტურნირში მონაწილეობის სურვილი ბორჯომის, ხაშურის, გორის, კასპისა და თბილისის გუნდებმა გამოთქვეს (სულ 18 გუნდი). ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ცალ-ცალკე გაიმართა დედაქალაქისა და რეგიონის გუნდების ტურნირები, ხოლო გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალურ მატჩში შეხვდნენ და “ბორჯომის თასის” ჩემპიონი გამოავლინეს.

თბილისის 6 გუნდს შორის საუკეთესო გახდა “პალასა”, ხოლო რეგიონის 12 წარმომადგენელს შორის ყველას ხაშურის “გორილასმა” აჯობა. პლეი ოფის დაწყებამდე ჩატარდა კონკურსი 3-ქულიან სროლებში, რომელიც ადგილობრივმა ნიკა ქურდაძემ მოიგო. ტურნირის მსვლელობისას გულშემატკივართა შორის პერიოდულად ტარდებოდა კონკურსები საჯარიმო სროლებში და თამაშდებოდა “ბორჯომის” ბრენდირებული მაისური და მინერალური წყალი.

ფინალური მატჩი, ისევე, როგორც პლეი ოფი, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. საფინალო მატჩში გულშემატკივარმა ბოლომდე ბრძოლა და ლამაზი მომენტები იხილა. დაძაბული შეხვედრა “პალასამ” ანგარიშით 13:10 მოიგო და “ბორჯომის თასთან” ერთად სოლიდურ საპრიზო თანხას – 1200 ლარს დაეპატრონა. მეორე ადგილზე გასულ ხაშურის გუნდს კომპანია “ბორჯომისგან” 600 ლარი ერგო. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კი ლაშა დოლიძე დასახელდა.

აღნიშნული პრიზებით, მედლებითა და სიგელებით ფინალისტები კომპანია “ბორჯომის” წარმომადგენელმა, ნინუცა გვენცაძემ დააჯილდოვა, რომელმაც 3-ქულიანების კონკურსის გამარჯვებულსა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს ეროვნული ნაკრების წევრთა ხელმოწერებით დამშვენებული Junior NBA-ს ბრენდირებული ბურთები გადასცა.

ტურნირი საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

“BORJOMI - SPORTS FAN”

3X3 basketball tournament was held within the frameworks of the project “Borjomi – Sports fan”. This project was implemented by Borjomi - the company of Georgian mineral water. The tournament was hosted by Borjomi Sports Stadium, which was opened in 2017 by the foundation of the company Borjomi and Mercy Corps, as well as with the support of Borjomi Municipality Board.

Georgian Basketball National Federation has helped Borjomi organize the tournament. Federation brought the 3X3 basketball port to Borjomi. The activity was quite firm: Borjomi, Khashuri, Gori, Kaspi and Tbilisi teams expressed their willingness to participate in the tournament. With the decision of organizers, the tournaments of the capital and regional teams were held separately. The winners met each other in the final match and revealed the champion of Borjomi Cup.



Palasa became the best team among the 6 teams of Tbilisi, while Gorillas of Khashuri became the best among 12 regional teams. Before the start of the playoffs, the competition was held in 3-pointer shoots, which was won by local Nika Kurdadze. During the tournament, the competitions were periodically held in free throws for the branded t-shirts and mineral water of Borjomi.

The final match, as well as playoff, turned out to be quite interesting. The fans were able to see the beautiful moments and fight to the end in the final match. Palasa won this tense match 13:10 and got Borjomi Cup with a solid prize - 1200 GEL.

The Khashuri team, who took the second place, received 600 GEL from the company of Borjomi. Lasha Dolidze was named as the best player of the tournament.

Ninutsa Gventsadze, representative of the company of Borjomi awarded the finalists with the prizes and diplomas, she also awarded the best player of the tournament and the winners of three-pointer shoots with the Junior NBA balls with the signatures of the members of the national team.

The tournament ended with ceremonial fireworks.





ჰიუნდაიმ ბალტიის ლიგა მოიგო

საკალათბურთო კლუბ „ჰიუნდაის“ 13-წლამდელთა გუნდმა საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ჰიუნდაელებმა ბალტიის ლიგა მოიგეს, სადაც მთელი სეზონის განმავლობაში მონაწილეობდნენ და ყველა ბარიერი წარმატებით დაძლიეს. ფინალურ მატჩში ქართულმა კლუბმა ლიტვური „მაჟეიკიაის“ 49:45 მოუგო და წარმომადგენლობითი ტურნირის ჩემპიონი გახდა.

ბალტიისპირეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ჰიუნდაელებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, პაატა გურასპაული შეხვდა. პრეზიდენტმა პატარა ჩემპიონები, მათი მწვრთნელები და კლუბის ხელმძღვანელები საკუთარ კაბინეტში მიიღო, წარმატება მიულოცა, რჩევა-დარიგებები მისცა და წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე „ჰიუნდაის“ მწვრთნელებს – ირაკლი და ნიკო ჩერქეზიშვილებსა და გუნდის დირექტორ გია სანაძეს ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა მისალოცი სიგელი გადასცა. წლების მანძილზე ქართული კალათბურთის განვითარებაზე ზრუნვისა და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენისთვის, კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ პრეზიდენტი, დავით გიორგობიანი სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა. ჯილდო კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ წარმომადგენელს, ლევან წულაიას ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, გიორგი ქართველიშვილმა გადასცა.

ბალტიის ლიგა საკმაოდ წარმომადგენლობითი და პრესტიჟული ტურნირი გახლავთ. შეჯიბრში ლიტვის, ლატვიის, რუსეთის, ბელარუსის, ფინეთის, უკრაინის და საქართველოს 25 გუნდი მონაწილეობდა და თამაშები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მთელი სეზონის განმავლობაში გრძელდებოდა. პლეი ოფამდე, რეგულარულ ჩემპიონატში ჰიუნდაელებმა 25 მატჩი გამართეს და მოპოვებული 16 გამარჯვებით პლეი ოფში გავიდნენ.

ფინალური ეტაპის ფავორიტი მოსკოვის „დინამო“ გახლდათ, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე 15-დან 15





U-13 HYUNDAI TEAM WON THE BALTIC LEAGUE

U13 team of basketball club Hyundai achieved significant success in the international arena. They won the Baltic League, where they have been participating during the whole season and all barriers have been successfully overcome. In the final match Georgian club defeated Lithuanian Majeikiai 49:45 and became champion of the representative tournament.

President of the Georgian Basketball National Federation, Paata Guraspauli met with the team members, who had returned from the Baltic. The President welcomed small champions, their coaches and the club's leaders in his own cabinet, congratulating the championship. He gave them some advices and wished them success.

Paata Guraspauli awarded coaches of Hyundai - Irakli and Niko Cherkezishvili and the director of the team - Gia Sanadze with greeting certificates. The President of Hyundai Auto Georgia - Davit Giorgobiani was awarded with special diploma for developing and representing Georgian basketball in the international arena for years. Giorgi Kartvelishvili, Secretary General of the Federation gave this award to representative of Hyundai Auto Georgia - Levan Tsulaia.

The Baltic League is quite representative and prestigious tournament. 25 teams from Lithuania, Latvia, Russia, Belarus, Finland, Ukraine and Georgia participated in the tournament and games were held in Baltic countries throughout the season. Before the playoffs, the Hyundai players held 25 matches in the regular championship and went to playoffs with 16 victories.

The favorite of the final stage was Moscow's Dinamo, which won 15 out of 15 games in the second group stage. Hyundai met the Moscow club in the semi-final and defeated it 53:36, after which they won in a tense battle against Lithuanian Mazheikaia and became the champions of the Baltic League in the debut season.

Nikoloz Totladze was named as the best player of the final stage and Gega Tsulaia deserved the best basketball player's prize of the team.

გამარჯვება მოიპოვა. „ჰიუნდაი“ მოსკოვურ კლუბს ნახევარფინალში შეხვდა და 53:36 გაანადგურა, რის შემდეგაც, ფინალურ შეხვედრაში ლიტვურ „მაჟეიკიაის“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია და სადებიუტო სეზონშივე ბალტიის ლიგის ჩემპიონი გახდა.

ფინალური ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ ნიკოლოზ თოთლაძე დაასახელეს, ხოლო გუნდის საუკეთესო კალათბურთელის პრიზი გეგა წულაიამ დაიმსახურა.





კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თანამშრომლებთან ერთად კასპის სპორტკომპლექსს ესტუმრა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი სამუშაო ვიზიტით კასპში იმყოფებოდა. პაატა გურასპაულს ლეხურისპირა ქალაქში თან ახლდნენ ფედერაციის წარმომადგენლები - ზაზა ღონღაძე, ალეკო პეტრიაშვილი და ზურაბ კოტრიკაძე, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრი დუდა სანაძე და საკალათბურთო კლუბ „ორბის“ დირექტორი, თორნიკე გიორგაძე.

პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს 2017 წელს ამოქმედებული კასპის სპორტული კომპლექსის საწვრთნელ-სავარჯიშო დარბაზები და სხვა ობიექტები. ორმხრივად სასარგებლო და საინტერესო საუბრები გაიმართა მასპინძელთა მხარესთან, რომელსაც წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის ხელმძღვანელები: მანუჩარ მერებაშვილი, თამაზ ტატანაშვილი, ლევან გეჯაძე და, მეორე მხრივ, სპორტული კომპლექსის დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი და კალათბურთის მწვრთნელები: მიხეილ მაკეივიჩი, დავით ჯინიყაშვილი და ლალი ხარაიშვილი.

ადგილობრივი კალათბურთელი ჭაბუკებისა და გოგონების გული მოიგო საქართველოს ნაკრების მოთამაშე დუდა სანაძემ, რომელმაც მოზარდებს ეგრედ წოდებული მასტერკლასი ჩაუტარა და მათთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მასპინძლებმა სპორტული კომპლექსი მთლიანად დაათვალიერებინეს. მათ იხილეს ტრენაჟორების დარბაზი, საჭიდაო არენები და სასტუმრო ოთახები. პაატა გურასპაულმა აღნიშნა, რომ კასპის კომპლექსი მშვენიერი ადგილია შეკრებების მოსაწყობად და როდესაც სასტუმრო ოთახები ინვენტარით შეივსება, სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების კასპში მოსამზადებელი შეკრებებისთვის ჩასვლა იქნება შესაძლებელი.



PRESIDENT OF THE BASKETBALL FEDERATION VISITED SPORTS COMPLEX OF KASPI ALONG WITH THE STAFF

President of Georgian National Basketball Federation was in Kaspi for a working visit with representatives of Federation: Zaza Ghonghadze, Aleko Petriashvili and Zurab Kotrikadze, a member of Georgian National Team – Duda Sanadze and the Director of basketball club Orbi – Tornike Giorgadze.

The President and his accompanying persons viewed the training and exercise halls and other facilities of Kaspi's Sports Complex, which was activated in 2017. Bilaterally useful and interesting conversations were held with host side, which was represented by, on the one hand, Heads of Municipality and City: Manuchar Merebashvili, Tamaz Tatanashvili, Levan Gejadze and on the other hand, Sports Complex Director Giorgi Niparishvili and Basketball Coaches: Mikheil Makeivich, Davit Jinikashvili and Lali Kharaishvili.

Duda Sanadze, player of Georgian national team won hearts of young basketball players. He held the master class and took memorable photos with them.

President of Basketball Federation saw the entire sports complex: the gym, the wrestling and the hotel rooms. Paata Gurasapauli noted that Kaspi complex is a wonderful place for arranging meetings and when hotels are filled with inventory, it will be possible to arrange preparatory meetings in different age groups in Kaspi.

აშშ-ის საელჩოს გაცვლითი პროგრამა

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის თანამშრომლობის ფარგლებში გოგონათა ნაკრების მწვრთნელი ნინო ყიფშიძე და მოთამაშე სოფო მოსია სპეციალური პროგრამით ამერიკაში იმყოფებოდნენ, სადაც არაერთ სპორტულ და სოციალურ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამა სახელწოდებით Sports Visitor Exchange წარმოადგენს სოციალურ- სპორტული ხასიათის აქტივობას, რომელშიც მონაწილეობას ეთნიკური უმცირესობები და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იღებენ.

პროგრამის მიზანი გახლდათ მისი მონაწილეებისთვის ლიდერის თვისებების განვითარება, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაზე და ვარჯიშებზე დასწრება, სემინარების გავლა, ამერიკის საზოგადოებისა და ამერიკელი ხალხის კულტურის გაცნობა.

საკალათბურთო სფეროდან პროგრამის მონაწილეთა შერჩევაში ამერიკის საელჩოს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაეხმარა, რის შემდეგაც ნინო ყიფშიძე და სოფო მოსია, სხვა მონაწილეებთან ერთად, 3-17 ივნისს ტეხასის შტატში იმყოფებოდნენ. პროგრამის მონაწილეები დაესწრნენ სპორტული საზოგადოების სესიას, მოინახულეს სან ანტონიო სფურსის დარბაზი AT&T და იმყოფებოდნენ საუნივერსიტეტო კამპუსში.

პროგრამის მონაწილენი ამერიკიდან დადებითი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

US EMBASSY EXCHANGE PROGRAM

Within the frameworks of cooperation of the US Embassy in Georgia and Georgian Basketball National Federation, Nino Kipshidze, coach of the girls' team and a player - Sopho Mosia, visited the United States with a special program, which included their participation in many sports and social activities.

The program, funded by the US Department of State, called Sports Visitor Exchange, is a social-sporting activity, involving ethnic minorities and representatives of various social groups.

The aim of the program was to develop the leader's qualities for its participants, attend various sporting events and exercises and familiarize with American society and the culture of the American people.

The Georgian Basketball National Federation helped the American Embassy to select the participants of the program, after which, Nino Kipshidze and Sopho Mosia along with other participants visited Texas on June 3-17. Program participants attended the sports community session, visited the San Antonio Spurs Hall - AT&T and the University Campus.

They returned from America with positive emotions and impressions.

Georgian Railway
EST. 1872





აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო საერთაშორისო დღე

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ,,მშობელთა საინფორმაციო ცენტრის“ ერთობლივი ორგანიზებით, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (2 აპრილი) საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები და სუპერლიგის მოთამაშეები, ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად აუტისტური სპექტრის მოზარდებს თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის სპორტულ კომპლექსში ესტუმრნენ.

მშობელთა საინფორმაციო ცენტრის (PIC) ადვოკატირებით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობელთა, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრისა და თბილისის მერიის ერთობლივი მუშაობით, 2016 წლის 30 ოქტომბერს, პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა კალათბურთის სექცია. ბავშვთა საკალათბურთო სექციის ვარჯიშს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვეტერანი და მოქმედი კალათბურთელები და საკალათბურთო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა და სუპერლიგის გუნდების -„ოლიმპის“, კაკტუსის, „მარნეულისა“ და „სოხუმის“ მოთამაშეებმა ბავშვებს საჩუქრად ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურები და სათამაშო ბურთები გადასცეს. კალათბურთელებმა ვარჯიშის პროცესში მონაწილეობა მიიღეს და ბავშვებთან ერთად ითამაშეს, რამაც მოზარდები ძალიან გაამხიარულა.



როგორც ცნობილია, აუტისტური სპექტრის მოზარდებისთვის სპორტით დატვირთვა აუცილებელია მათი ფიზიკური და მენტალური უნარების განვითარებისთვის. მათ შორის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კალათბურთში მომზადებას, რომელიც შშმ ბავშვებში ავითარებს სხეულის ფლობის, გუნდური მოქმედების, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინტეგრაციის შესაძლებლობებს.
ორგანიზაცია ,,მშობელთა საინფორმაციო ცენტრი“ 2015 წლიდან ფუნქციონირებს და ზრუნავს შშმ ბავშვების უფლებების რეალიზაციისა და მათთვის საჭირო განმავითარებელი სერვისების დაფუძნებასა და სისტემატიზირებულ ჩამოყალიბებაზე.

teams - Olimpi, Cactus, Marneuli and Sokhumi donated t-shirts and gaming balls to the children. Basketball players participated in the training and played with children, which made them extremely happy.
As it is known, sports is essential for children with autistic spectrum for improving their physical and mental skills. Among them basketball workouts are of great importance, which develops the skills of body ownership, teamwork, communication and integration with the public in children with disabilities.
The organization - Parents Information Center has been functioning since 2015 and is responsible for the rights of children with disabilities and establishing development services for them.

WORLD AUTISM AWARENESS DAY

With the joint organization of Georgian Basketball National Federation and Parents Information Centre, members of Georgian National Team and Super League players, along with the federation representatives visited autistic spectrum children in Sports Complex of The Parasport Development Center of Tbilisi regarding to World Autism Awareness Day (April 2).
In partnership with the Parents Information Center (PIC), with the joint work of parents of children with autistic spectrum, Tbilisi Parasport Development Center and Tbilisi City Hall, basketball section was established in Georgia for the first time on October 30, 2016.
The President of Basketball Federation, veteran and current basketball players and basketball community representatives attended training of children basketball section. Members of the Georgian National Team and players of Super League

adjarasport.com

ბოდნისა
აუდიტორი კონცერტი





საერთაშორისო ცენტრი „პატარა კახი“

2017 წლის შემოდგომაზე თელავმა საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირს უმასპინძლა. ტურნირი, სახელწოდებით „პატარა კახი“ 2005-2006 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის ჩატარდა და მისი ორგანიზატორები თელავის მერიის სპორტულ კლუბთა გაერთიანება და კახეთის კალათბურთის ფედერაცია, ხოლო მხარდამჭერი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გახლდათ.

„პატარა კახი“ ტრადიციული ტურნირია, რომელიც პირველად 2016 წელს გაიმართა, ხოლო მომდევნო წელს მან საერთაშორისო სტატუსი შეიძინა.

„პატარა კახში“ მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდებმა მიიღეს. ქუთაისის, რუსთავისა და თელავის წარმომადგნლებთან ერთად ტურნირში იასპარეზა თელავთან დამეგობრებულმა ლატვიის ქალაქ ტალსის გუნდმა.

საკმაოდ საინტერესო და დაძაბული მატჩების შემდეგ ფინალში ასპარეზობის უფლება ლატვიურმა და ქუთაისურმა გუნდებმა მოიპოვეს. სატიტულო მატჩი საინტერესოდ წარიმართა. ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება ქუთაისელებს დარჩათ, რომლებმაც ფინალური შეხვედრა 1 ქულის სხვაობით მოიგეს. „პატარა კახი -2017“-ის საუკეთესო მოთამაშედ ქუთაისელი ლუკა ლომთაძე დასახელდა, რომელიც ფინალური მატჩის შემდეგ დაჯილდოვდა.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, მიხეილ გაბრიჩიძემ, ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ალეკო პეტრიაშვილმა, კახეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, სოსო იაგორაშვილმა და თელავის მერიის სპორტულ კლუბთა გაერთიანების უფროსმა, გურამ გურაბანიძემ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მსვლელობისას მოეწყო დასვენების დღე და „პატარა კახის“ მონაწილე გუნდების წევრებს საშუალება მიეცათ, მოენახულებინათ გრემისა და ალავერდის სამონასტრო კომპლექსები.

PSP

THE MEMBER OF

PSP GROUP

"PATARA KAKHI" TOURNAMENT



In the fall of 2017 Telavi hosted the international basketball tournament – Patara Kakhi, which was held between children born in 2005-2006. The tournament was organized by the Union clubs of Telavi City Hall and Kakheti Basketball Federation. Georgian Basketball National Federation was a supporter.

Patara Kakhi is a traditional tournament, which was first held in 2016 and the following year he acquired international status.

Team of various regions of Georgia participated in Patara Kakhi. Along with the representatives of Kutaisi, Rustavi and Telavi, Telavi's friend team of Talsi, Latvia also participated in the tournament.

Teams of Latvia and Kutaisi gained the right to play in the final after quite interesting and tense matches. Title match turned out very interesting. Kutaisi won in a very tense fight, they won the final match by 1 point. Luka Lomtadze from Kutaisi was named as the best player of Patara Kakhi 2017. He was awarded after the final match.

Mikheil Gabrichidze, President of Georgian Basketball Federation, Aleko Petriashvili, Head of Federation Competition Department, Soso Iagorashvili, President of Kakheti Basketball Federation and Guram Gurabanidze, Head of Sports Club Union of Telavi participated in the award ceremony.

It is noteworthy that during the tournament a vacation day was organized and the Patara Kakhi team-members were able to visit the Gremi and Alaverdi monastery complexes.

Georgian Railway
EST.1872





„ბაჩოს თასი“ 2018

ლისის ტბაზე სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი 2018“ ჩატარდა. ღონისძიების მონაწილეები ერთმანეთს 3x3 კალათბურთსა და ქუჩის მინი-ფეხბურთში შეეჯიბრნენ. სპორტული ჟურნალისტის, ბაჩო სვანიძის სახელობის ტურნირში მონაწილეობა სპორტული მედიის წარმომადგენლებმა, ბაჩოს მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა მიიღეს.

ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირი 2010 წლიდან სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ეგიდით ტარდება. „ბაჩოს თასის“ მხარდამჭერები არიან კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია, ფეხბურთისა და კალათბურთის ფედერაციები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ტურნირზე მედია-ფესტივალის პარტნიორი იყო ქართული ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია „ზედაზენი“. მედია-ფესტივალი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში გაიმართა. სპორტული მედიის საერთაშორისო დღე 2 ივლისს აღინიშნება.

ფესტივალი 3x3 კალათბურთით გაიხსნა. ტურნირში 5 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს „რეკორდმაისტერი“ და „მოწამეთა“ დაუპირისპირდნენ. დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა „რეკორდმაისტერის“ გამარჯვებით ანგარიშით 12:4 დასრულდა. მესამე ადგილზე „ლელო“ გავიდა. კალათბურთის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ „რეკორდმაისტერის“ წევრი ბაჩო ცალუღელაშვილი დასახელდა. „ბაჩოს თასის“ გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები 3x3 კალათბურთში მედლებითა და სამახსოვრო პრიზებით 3x3 კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა. ქუჩის მინი-ფეხბურთის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრები - ბურთები და მაისურები ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გადასცა.

სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი“ მეშვიდედ ჩატარდა. ფესტივალი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტის, ბაჩო სვანიძის სახელს ატარებს. ჟურნალისტმა კარიერის უკანასკნელი წლები სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ გაატარა.

BACHO'S CUP 2018



Traditional media festival of sports journalists - Bacho's Cup 2018 was held at Lisi Lake. The event participants competed in 3x3 basketball and street mini-football. Sports journalists, Bacho's friends and family members participated in sports journalist Bacho Svanidze's tournament.

Bacho Svanidze's memorial tournament is being held with the organization of Sports Journalists Association since 2010. Supporters of Bacho's Cup are the Ministry of Culture and Sport, Tbilisi City Hall, Football and Basketball Federations and National Olympic Committee.

The partner of the media-festival at the tournament was Georgian Beer and Non-Alcoholic Beverages Company Zedazeni. Media Festival was held within the International week of Sports Journalists. The International Day of Sports Media is celebrated on July 2.

The festival was opened with 3x3 Basketball. 5 teams were participating in the tournament. Recordmister and Motsameta played against each other in the finals. This tense battle has ended with the victory of Recordmister 12:4. Lelo took the 3rd place. Bacho Tsalugelashvili, a member of Recordmister was named as the best player of the basketball tournament.

Giga Gurgenidze, the President of 3X3 Basketball Federation has awarded the winners of 3X3 Basketball with medals and memorable gifts.

Traditional media festival of sport journalists was held for the seventh time. The festival is named after the young sports journalist Bacho Svanidze who died as a result of serious illness. The journalist spent the last years of his career in sports magazine Sarbieli.

Georgian Railway
EST. 1872

adjarasport.com



დინამო ევროსარბიელზე

გვარიანი პაუზის შემდეგ, 2017-2018 წლების სეზონში ქართული კლუბი ევროსარბიელს დაუბრუნდა. ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ“ იასპარეზა, რომელმაც პირველი ბარიერი ვერ გადალახა და ფიბა-ევროპის თასზე გადაინაცვლა, სადაც ჯგუფურ ეტაპზე 6 მატჩი გამართა.

დინამოელებმა ევროსარბიელზე საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სპეციალური პროგრამის წყალობით იასპარეზეს, რომლის მიხედვითაც სუპერლიგის ჩემპიონი ფედერაციის მიერ ევროტურნირზე საასპარეზოდ ფინანსდებოდა. 2016-2017 წლების სეზონის ჩემპიონმა „დინამომ“ ამ პრივილეგიით ისარგებლა და ევროტურნირებზე ასპარეზობით საკმაო გამოცდილება დააგროვა, რაც საქართველოს ჩემპიონობის შესანარჩუნებლად დიდად დაეხმარა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში საქართველოს ჩემპიონის მეტოქე ესპანური „ხუვენტუტი“ გახლდათ. ბადალონელებმა პირველი მატჩი თბილისში დაძაბულ ბრძოლაში - 72:60 მოიგეს, ხოლო ესპანეთში ქართული კლუბი 86:66 დაამარცეს და შემდეგ წრეში გავიდნენ. გათამაშების ფორმატის თანახმად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოდან გავარდნილ გუნდს რანგით დაბალი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე გადანაცვლების შესაძლებლობა ჰქონდა. თბილისის „დინამო“ ფიბა-ევროპის თასზე გადავიდა და ჯგუფურ ეტაპში მიიღო მონაწილეობა.

ქართულ კლუბთან ერთად ჯგუფში რუმინული „კლუჟ-ნაპოკა“, თურქული „ისთანბული“ და ბულგარული „აკადემიკი“ მოხვდა. დინამოელებმა ჯგუფური ეტაპი დამაჯერებლად დაიწყეს და პირველ ტურში გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ. ქართული კლუბი





ბულგარეთში „აკადემიკის“ დამარცხებასთან ახლოს იყო, თუმცა ბოლო წუთზე 70:73 დამარცხდა.
სამწუხაროდ, ეს იყო „დინამოს“ ყველაზე მძლავრი მატჩი ამ ტურნირზე. ჯგუფის დარჩენილი 5 შეხვედრა თბილისელებმა უშანსოდ წააგეს და, ცხადია, მომდევნო ეტაპზე ვეღარ გადავიდნენ. დინამოელებმა ევროსარბიელზე მიღებული გამოცდილება კარგად გამოიყენეს შიდაჩემპიონატში და სუპერლიგის გამარჯვებულები გახდნენ.

DINAMO TBILISI ON EURO CUPS

In the 2017-2018 season, Georgian club returned to European field after the long pause. Dinamo Tbilisi competed at the qualifying round of the FIBA Champions League. They could not overcome the first stage and moved to the FIBA Europe Cup, where they held 6 matches at the group stage.
Dinamo competed in Europe with the merit of the special program of the Georgian Basketball National Federation, according to which the champion of Superleague was financed by the federation. The champion of the 2016-2017 season - Dinamo used this privilege and gained a significant experience in European tournaments that helped them greatly to maintain the championship of Georgia.
The rival of Georgian team in the Champions League Qualifiers was Spanish Juventut. Badalonians won their first match in a tense battle in Tbilisi - 72:60, then they defeated Georgian Club 86:66 in Spain and went to the next round. According to the format of the tournament, the team dropped out of the Champions League Qualifiers had the opportunity to move to the group stage of the lower level tournament. Dinamo Tbilisi moved to the FIBA Europe Cup and took part in the group stage. Georgian club was in the group with Romanian Cluj-Napoca, Turkish Istanbul and Bulgarian Academic. Dinamo started the group stage convincingly and was close to the victory in the first round. Georgian Club was close to defeating Academic in Bulgaria, but lost 70:73 at the last minute.
Unfortunately, it was the most powerful match of Dinamo at this tournament. Tbilisians lost the remaining 5 matches without any chances and, obviously, could not pass on to the next stage. The Dinamo players used European experience in the internal championship and became the winners of the Super league.







სპორტული ელჩების პროგრამა საქართველოში

18-წლამდელთა გოგონათა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული და WNBA-ს ვარსკვლავები, აშშ-ის ნაკრებში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი რუთი ბოლტონი და „სიეტლისა“ და „დეტროიტის“ შემადგენლობაში ქალთა ნბა-ს ორგზის ჩემპიონი შერი სემი შეხვდნენ, რომლებიც საქართველოში ამერიკის საელჩოს მიერ მოწვეული სტუმრები იყვნენ.

კალათბურთის მსოფლიო დონის ვარსკვლავებმა გოგონათა ნაკრებს ღია ვარჯიში ჩაუტარეს და ევროპის ჩემპიონატზე წარმატებები უსურვეს.

ოლიმპიურ სასახლეში რუთი ბოლტონმა და შერი სემმა საჩვენებელი ვარჯიშები ბავშვთა საკალათბურთო სკოლებისთვისაც გამართეს.

პაატა გურასპაული (კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი): დიდ მადლობას გადავუხდი ამერიკის საელჩოს. ქალთა კალათბურთის განვითარებისთვის საქართველოში მსგავს ღონისძიებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. გოგონებს წარმატებულ და შედეგიან ასპარეზობას ვუსურვებ ევროპის ჩემპიონატზე. კალათბურთის ეროვნული ფედერაცია საქართველოში ქალთა კალათბურთის აღორძინებისთვის მაქსიმუმს გააკეთებს.

ნატალია ოთხმეზური (18-წლამდე გოგონათა ნაკრების კალათბურთელი): ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი მაღალი კლასის მოთამაშეებისგან გამოცდილების გაზიარება და მათთან ერთად ვარჯიში. მიზნად დასახული მაქვს ქალთა ნბა-ში თამაში, ისინი კი სწორედ ნბა-ს ჩემპიონები არიან. ვეცდები მაქსიმალურად ბევრი ვისწავლო მათი ვარჯიშებიდან და მომავალში სათამაშო პრაქტიკაში გამოვიყენო.

სალომე კალანდაძე (18-წლამდე გოგონათა ნაკრების მოთამაშე, გუნდის კაპიტანი): დღევანდელმა დღემ ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა. ვარჯიშმა საინტერესოდ და მხიარულად ჩაიარა. ისინი მუდმივად გვამხნევებდნენ და სტიმულს გვაძლევდნენ. მივიღეთ მნიშვნელოვანი რჩევები, ყველაზე მეტად კი ის





მომეწონა რომ ხაზგასმით აღნიშნავდნენ გუნდის ერთიანობის ძალას. ეს კი ჩვენთვის, როგორც ნაკრებისთვის, ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია.

SPORTS ENVOY PROGRAM IN GEORGIA

Before departure to the European Championship, President of the Basketball National Federation Paata Guraspauli and WNBA stars, two-time Olympic champion Ruthie Bolton and Champion of Women's NBA with Seattle and Detroit - Sheri Sam met girls' U18 team. The guests were invited by the US Embassy in Georgia.

The world class basketball stars held the open practice for girls and wished them success at the European Championship.

Ruthie Bolton and Sheri Sam held practices for children's basketball schools as well in the Olympic Palace.

Paata Guraspauli (President of the Basketball National Federation): I would like to thank the American Embassy. Such events are of great importance for development of women's basketball in Georgia. I wish girls successful and productive competition in the European Championship. The Basketball National Federation will do the best for the reviving of women's basketball in Georgia.

Natalia Otkhmezuri (player of the U18 team): It is very important for me to get the practice and experience from players of such a high class level. I have a goal to play in women's NBA, and they are NBA champions. I will try to learn as much as possible from their exercises, which I will use in gaming practice in the future.

Salome Kalandadze (player of the U18 team, captain): This day gave us a great experience. The practice was fun and cheerful. They were constantly encouraging us. We received important advice, and most of all I liked how they emphasized the strength of the team's unity. This is psychologically very important for us as a team.





ოლიმპიური დღე

OLYMPIC DAY

23 ივნისი საერთაშორისო ოლიმპიური დღეა, რომელიც 1948 წლიდან აღინიშნება და მასში მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის მილიონობით მოქალაქე მონაწილეობს.

გასულ წელს ოლიმპიური დღე საქართველოში განსაკუთრებული აღმოჩნდა - სწორედ ამ დღეს მიეძღვნა ყველა დროის ქართველ ოლიმპიელთა ფორუმი, რომელსაც წინ უძღოდა მასობრივი ოლიმპიური გარბენი და საინტერესო სპორტული აქტივობები კუს ტბაზე.

კუს ტბაზე გამართულ სხვადასხვა სპორტის სახეობებში საჩვენებელ შეჯიბრებებს შორის გამორჩეული ადგილი ეკავა 3X3 კალათბურთს და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ სპეციალურად მოწყობილ კუთხეს.

June 23 is the International Olympic Day, which has been celebrated since 1948 and is attended by millions of citizens of over 200 countries.

Last year the Olympic day was very special in Georgia - the forum of Georgian Olympians of all time was dedicated to this day. It was preceded by mass Olympic mileage and interesting sports activities on the Turtle Lake.

Among the different sports activities organized on the Turtle Lake, 3X3 basketball and a specially designed corner of the Basketball National Federation, had a distinctive place.



LION “GEO” - THE MASCOT OF GEORGIAN NATIONAL BASKETBALL TEAM





Mascot with other fans supported Georgian Basketball National Team on the World Cup Qualifiers 2019.

The mascot of the basketball team of our country is a lion, whose name was chosen by the survey.

According to the legend, our mascot lived in the Caucasus Mountains, in the deep forest and he was defending the borders of Georgia like his ancestors.

The survey was conducted on Facebook and the official website of the Basketball Federation.

When selecting his name, most of the fans picked "Geo", which is an abbreviation of our country's name on the international arena and is associated with everything Georgian.

Geo will always support and defend our National Team.



“ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“ 10 წლისაა!

“ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“ 2008 წელს დაფუძნდა და გასულ წელს მას 10 წელი შეუსრულდა.

ფონდის საქმიანობის მიზანია ვეტერანი კალათბურთელების ღვაწლის სრულყოფილად დაფასება და მათი სოციალურ-მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

ორგანიზაციამ თავისი არსებობის მანძილზე გაუწია და დღემდე უწევს 19 ვეტერან კალათბურთელს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე ერთჯერად ფინანსურ დახმარებას უწევს გარდაცვლილი ვეტერანი კალათბურთელების ოჯახებს.

აღსანიშნავია, რომ დახმარების ფონდის დაფინანსებას ძირითადად უზრუნველყოფს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

საყურადღებოა, რომ დახმარების ფონდის რეკომენდაციით 30 ვეტერან კალათბურთელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დაუნიშნა ყოველთვიური ფინანსური დახმარება და აგრეთვე გაუწია ერთჯერადი ფონანსური დახმარება რამოდენიმე ვეტერან კალათბურთელს ოპერაციებზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე.

დახმარების ფონდმა გამოუშვა ბუკლეტი, სადაც ვეტერანი კალათბურთელების სურათია აღბეჭდილი და მიმართვა ფონდზე დახმარების შესახებ, რომელიც წერილთან ერთად დაეგზავნა საქართველოში განლაგებულ ორგანიზაციებს და მოქმედ ბიზნესმენებს.

ბევრი ვეტერანი კალათბურთელი ჩაბმულია კალათბურთის ცხოვრებაში, ესწრებიან და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა თაობას, რომ ახალმა თაობამ იცოდეს ვინ იყო მისი წინაპარი, როგორ ცხოვრობდა და როგორ მიაღწია უდიდეს სპორტულ შედეგებს. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ინატრებდა ამდენი ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და პრიზიორის ყოლას, რამდენიც საქართველოს ჰყავს.

„ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“ დიდ მადლობას უხდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისთვის.

VETERAN BASKETBALL PLAYERS SUPPORT FUND IS 10 YEARS OLD!

Veteran Basketball Players Support Fund was founded in 2008. The aim of the foundation is to appreciate the merit of veteran basketball players and improve their social-material conditions. Since its existence,the organization has been providing financial support for 19 veteran basketball players monthly and also providing financial assistance to families of dead veteran players.

It should be noted that the financial aid of the organization is mainly provided by the Basketball National Federation.

It should be noted thatthe Ministry of Education, Science, Culture and Sportof Georgia provided monthly financial aid for 30 veteran players due to the recommendation of the Support Foundation within the Veteran Sportsmen and Sports Workers Social Assistance Program. They also financed the operations and medicament treatment of some veteran players.

The aid fund issued a booklet, with the letter sent to the organizations and business entities, located in Georgia, asking their support.

Many veteran basketball players are involved in basketball life, sharing their rich experience with the younger generation to know who was their ancestors, how they lived and achieved the greatest sports results. Many countrieswould wish for so many Olympic, world, European and Soviet champions as we have.

Veteran Basketball Players Support Fund is grateful to the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia and the National Basketball Federation for support and financial aid.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა ვეტერან კალათბურთელებს იუბილე მიულოცა და ქართული კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელითა და ეროვნული ნაკრების სამახსოვრო მაისურით დააჯილდოვა.

THE PRESIDENT OF THE GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION - PAATA GURASPAULI CONGRATULATED VETERAN PLAYERS ON THE JUBILEE AND AWARDED THEM WITH THE HONORABLE DIPLOMAS AND THE MEMORABLE T-SHIRTS OF THE NATIONAL TEAM FOR THEIR CONTRIBUTION TO THE DEVELOPMENT OF GEORGIAN BASKETBALL.



როლანდ ხომერიკი

შეუსრულდა 85 წელი. 1952 წელს გამოდიოდა საქართველოს ნაკრების გუნდში, რომელმაც სსრკ იუნიორთა პირველობაში გაიმარჯვა. 1962 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის, ხოლო 1973 წელს - საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება. (1976-81წ) იყო საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი. 1975 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. 1991 წლიდან მუშაობს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში. ფედერაციის მიერ 2000 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დასახელებულია XX საუკუნის საუკეთესო კალათბურთის მსაჯად საქართველოში. არის ღირსების ორდენის კავალერი.

RONALD KHOMERIKI

Roland Khomeriki – (September 13, 1933. 85 years old). In 1952 he performed in the Georgian national team, which won the first place at the USSR Junior. He was awarded the title of the Soviet Union arbitrator in 1962 and international category arbitrator in 1973. He was the head coach of the Georgian women's team (1976-81). He was awarded the title of Honored Coach of Georgia in 1975. He has been working in the Georgian Basketball Federation since 1991. As a result of the survey conducted by the federation in 2000, he is named as the best basketball coach of the 20th century in Georgia. He is the Knight of the Order of Honor.



გურამ აბაშიძე

დაიბადა 1933 წლის 3 ივლისს. შეუსრულდა 85 წელი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ორი ოქროს (1953, 1954), სამი ვერცხლის (1959, 1960, 1961) და ბრინჯაოს (1952) მედლები. სსრკ ხალხთა მეორე სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959). დინამოელთა საერთაშორისო ტურნირის „დინამიადის“ ორგზის (1957, 1958) გამარჯვებული. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო ახალგაზრდულ თამაშებში გამარჯვებული (1950).

GURAM ABASHIDZE

Guram Abashidze - (July 3, 1933. 85 years old). Owns two golden (1953, 1954), three silver (1959, 1960, 1961) and bronze (1952) medals of the Soviet Union championship. Vice-Champion of the Second Spartacus Cup of the USSR (1959).

Twice-winner of Dinamo International Tournament (1957, 1958). Winner of the International Youth Games (1950) in the USSR team.



მარენ კეკელია

სპორტის ოსტატი კალათბურთში, საბჭოთა კავშირის ზამთრის პირველობის მესამე პრიზიორი, საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა პირველობის გამარჯვებული. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული. გასული წლის 12 თებერვალს შეუსრულდა 85 წელი.

MAREN KEKELIA

Maren Kekelia - (February 12, 1933. 85 years old). Sports master in basketball, the third winner of the Soviet Union Winter Championship, champion of the Soviet Union student games.

The winner of the Soviet Union students' championship. The winner of many international competitions in the Georgian basketball team.



სერგო იშხნელი

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატს, ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ წევრს, საკავშირო ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებულს, სერგო იშხნელს 70 წელი შეუსრულდა.

SERGO ISHKHNELI

Sergo Ishkhneli – (February 14, 1948. 70 years old). Honored Coach of Georgia, Sports master, member of Legendary Dinamo Tbilisi. Three-times winner of the Union Championship.



ზურაბ ქარაბაკი

დაიბადა 1948 წლის 13 აპრილს, შეუსრულდა 70 წელი. დაჯილდოებულია სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს (1968) და ვერცხლის (1969) მედლებით. მოპოვებული აქვს საბჭოთა კავშირის თასი (1969).

ZURAB QARABAKI

Zurab Qarabaki - (April 13, 1948. 70 years old). He is awarded with golden (1968) and silver (1969) medals of the SSR Union championship. He has won the Soviet Union Cup (1969).



გარუნ აკოფოვი

დაიბადა 1923 წლის 19 ოქტომბერს, შეუსრულდა 95 წელი. 39 წელი (1949-1987) მუშაობდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ და ყოველკვირეული „ფუტბოლის“ (1960-1987) საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში. ჟურნალისტთა კავშირის წევრია 1958 წლიდან. არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში. სპეციალურ კორესპონდენტად იყო მივლინებული ოლიმპიურ თამაშებზე რომში, ტოკიოში, მიუნხენში, მოსკოვში, ატლანტაში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კალათბურთში. მის კალამს ეკუთვნის ოცზე მეტი წიგნი ფეხბურთზე და კალათბურთზე.

GARUN AKOPOV

Garun Akofov - (October 19, 1923. 95 years old). He worked as a correspondent of the newspaper "Sovetski Sport" and weekly "Football" (1960-1987) for 39 years (1949-1987). He is a member of the Journalists Union since 1958. He is a well-deserved journalist of Georgia, an honored worker of sports and physical culture. Knight of honor Order, international referee in basketball. A special correspondent was assigned to the Olympic Games in Rome, Tokyo, Munich, Moscow, Atlanta, Europe and World Championships in basketball. His pen owns more than twenty books on football and basketball.



«ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის» რეკვიზიტები

ააიპ ,,ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“
ს/კ 205251822
მის: ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა.
თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE82TB0865236080100002

ვეტერანი კალათბურთელების ხსოვნის აღსანიშნავად
IN MEMORIAM



ილია მირიანაშვილი

დაიბადა 1933 წლის 27 ივლისს. შეუსრულდებოდა 85 წელი. საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საქართველოს ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1982-1988წ), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის აკადემიის ასისტენტი-პროფესორი.

ILIA MIRIANASHVILI

Ilia Mirianashvili – (July 27, 1933). The owner of the USSR Cup. Head coach of the Georgian Women's Team (1982-1988), Honored Coach of Georgia, Union category referee, Assistant Professor of Sports Academy.



სერგო მაღალაშვილი

დაიბადა 1938 წლის 10 აგვისტოს, შეუსრულდებოდა 80 წელი. დაჯილდოებულია სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს (1968), ვერცხლის (1969) და ბრინჯაოს (1965) მედლებით, მოპოვებული აქვს საბჭოთა კავშირის თასი (1969). საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადის (1963) და საქართველოს მესამე სპარტაკიადის (1963) ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებთან ერთად მონაწილეობდა ჩინეთის ქალაქებში გამართულ შეხვედრებში. 1978 წელს მიენიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება კალათბურთში.

SERGO MAGALASHVILI

Sergo Magalashvili – (August 10, 1938). He has been awarded the golden (1968), silver (1969) and bronze (1969) medals of the USSR championship. Owns the Soviet Union Cup (1969). Became the champion of Spartacus Cup of the Transcaucasian republics (1963) and third Spartacus Cup of Georgia (1963) with Georgian national team. Participated in matches held in Chinese cities together with the Soviet Union team. He was awarded the title of the Soviet Union referee in basketball in 1978.



მანანა მოსულიშვილი

დაიბადა 1953 წლის 1 ივლისს შეუსრულდებოდა 75 წელი. 1972-1975 წლებში თამაშობდა თბილისის „ქარიშხალას“ და საქართველოს ნაკრებ გუნდებში. 1978 წელს მიენიჭა საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდება. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია, პოლიციის პოლკოვნიკი.

MANANA MOSULISHVILI

Manana Mosulishvili – (July 1, 1953). She played in Qarishkhala Tbilisi and Georgian national teams in 1972-1975. She was awarded the title of the Arbitrator of the Union category in 1978. Candidate of Legal Sciences, Colonel of Police.



მიხეილ ქორქია

დაიბადა 1948 წლის 11 სექტემბერს, შეუსრულდებოდა 70 წელი. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ოქროს (1972) და ბრინჯაოს (1976) მედლები, ევროპის ჩემპიონატებში კი - ოქროსი (1971) და ორი ვერცხლის (1975, 1977) მედალი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1968), ვიცე-ჩემპიონი (1969) და ორგზის მესამე პრიზიორი (1975, 1977), საბჭოთა კავშირის თასის (1969) და საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის (1975, 1977) მფლობელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1972).

MIKHEIL QORQIA

Mikheil Qorqia – (September 11, 1948). The owner of the gold (1972) and Bronze (1976) medals of the Olympic Games in the Soviet Union team. Gold (1971) and two silver (1975, 1977) medals in the European Championships. The champion of the Soviet Union (1968), the Vice-Champion (1969) and twice-winner of the third places (1975, 1977), the owner of the Soviet Union Cup (1969) and twice-winner of the Intercontinental Cup (1975, 1977). Honored Master of sports (1972).



ვაჟა ჟღენტი

დაიბადა 1928 წლის 26 თებერვალს. შეუსრულდებოდა 90 წელი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის (1950, 1953, 1954) ოქროს და ორგზის (1950, 1953) ბრინჯაოს მედალოსანი. სსრკ თასის ორგზის (1948, 1952) მფლობელი. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო სტუდენტური თამაშების პრიზიორი (1954). საერთაშორისო ტურნირ - „დინამიადაში“ გამარჯვებული (1957). 1986-1991 წლებში მუშაობდა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექტორად. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მრეწველობის დამსახურებული მუშაკი.

VAZHA ZHGHENTI

Vazha Zhghenti – (February 26, 1928). Three times winner of the gold medal of the Soviet Union championships (1950, 1953, 1954) and twice winner of bronze medals (1950, 1953). Twice winner of the USSR Cup (1948, 1952). Prize winner for World Student Games in the USSR team (1954). Winner of the International tournament – Dinamiada (1957). He worked as a director of B. Paichadze National Stadium in 1986-1991. Honored Worker of Georgian Physical culture and Sports, Honored Worker of Georgian industry.



ვეტერანი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონატზე

საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა ნაკრებმა 2018 წელს ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა და საპრიზო ადგილამდე მცირედი დააკლდა. ვეტერანები რეგულარულად მონაწილეობენ კონტინენტალურ პირველობებზე და ამჯერად მათ სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოუწიათ თამაში.

ტურნირს სლოვენიის ქალაქმა მარიბორმა უმასპინძლა, სადაც ევროპის ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელთა შორის ჩატარდა. ჩვენი ნაკრები 50+ წლოვანთა კატეგორიაში გამოდიოდა და ჯგუფში გერმანიის ნაკრებთან და ადგილობრივ „მარიბორთან“ მოხვდა.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ნოდარ ქორქია, პაატა გურასპაული, დავით გიორგობიანი, გია სანაძე, ზაზა ღონღაძე, ლევან წულაია, გულივერ ახალკაცი, ალექსანდრე ფერიაშვილი, ზაზა ცაგარეიშვილი, დავით ჩიხლაძე, გურამ ვაშაკიძე, ზურაბ კობახიძე.

პირველ შეხვედრაში ქართველებმა დაძაბულ ბრძოლაში - 77:73 გერმანია დაამარცხეს, შემდეგ კი „მარიბორს“ 57:43 სძლიეს და ჯგუფიდან გავიდნენ. მეოთხედფინალში საქართველოს მეტოქე ხორვატიის ნაკრები გახლდათ. დაძაბული ბრძოლის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომელიც ქართველებმა 19:9 მოიგეს და შეხვედრაში 77:69 იმარჯვეს.

ნახევარფინალში საქართველო მასპინძელ სლოვენიის ნაკრებს შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა. ქართველები 68:84 დამარცხდნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. მე-3 ადგილისთვის მატჩში საქართველოს ვეტერანთა ნაკრები სერბეთს შეხვდა, თუმცა გამარჯვებამდე ვერ მივიდა და საპრიზო ადგილის გარეშე დარჩა.

VETERAN BASKETBALL TEAM PARTISIPATED IN EUROPEAN CHAMPIONSHIP

Georgian veteran basketball team participated in European championship in 2018 and lacked a little to receive the prize. Veterans regularly participate in continental championships and this time they played in Slovenia.

The tournament was hosted by Slovenian city Maribor, where European championship was held among different age groups. Our team was performing among 50+ years old and in the group appeared with the German team and local Maribor.

Nodar Qorqia, Paata Guraspauli, Davit Giorgobiani, Gia Sanadze, Zaza Ghonghadze, Levan Tsulaia, Guliver Akhalkatsi, Alexander Feriashvili, Zaza Tsagareishvili, Davit Chikhladze, Guram Vashakidze and Zurab Kobakhidze were defending the dignity of the Georgian team.

Georgians defeated Germany in the first and quite tense battle – 77:73, then they beat Maribor – 57:43 and went out of the group. Croatian team was our opponent in the quarterfinal. The fate of the tense match was decided in the final period, which was won by Georgians 19:9. Eventually, our team won 77:69.

Georgia met Slovenian team with weakened roster in the semi-finals. Georgians lost 68:84 and left the fight for championship. Our veteran team met Serbia for the 3rd place, but was unable to win and left the championship without prize.





საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

www.mes.gov.ge

facebook.com/MESGeorgia

ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით
THE WINNING TEAMS IN CHAMPIONSHIPS AND TOURNAMENTS ACCORDING TO YEARS

სუპერლიგა — Superleague

1991	დინამო / Dinamo	2000-2001	ბასკო / Basko	2009-2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest
1992-1993	ვითა / Vita	2001-2002	ბასკო / Basko	2010-2011	არმია / Army
1993-1994	ვითა / Vita	2002-2003	დინამო / Dinamo	2011-2012	არმია / Army
1994-1995	ვითა / Vita	2003-2004	ბასკო / Basko	2012-2013	შსს აკადემია / MIA Academy
1995-1996	ვითა / Vita	2004-2005	სტუ ჯეოსელი / STU Geocell	2013-2014	დინამო / Dinamo
1996-1997	ვითა / Vita	2005-2006	თბილავიამშენი / TAM	2014-2015	შსს აკადემია / MIA Academy
1997-1998	ვითა / Vita	2006-2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2015-2016	ქუთაისი / Kutaisi
1998-1999	ვითა / Vita	2007-2008	ენერჯი ინვესტი	2016-2017	დინამო / Dinamo
1999-2000	ბასკო / Basko	2008-2009	ენერჯი ინვესტი	2017-2018	დინამო / Dinamo

ა-ლიგა — A League

2014-2015	არენა 76 / Arena 76	2016-2017	მარნეულის დელტა / Marneuli Delta	2017-2018	თსუ-ჰიუნდაი / TSU Hyundai
2015-2016	კაკტუსი / Cactus				

20-წლამდელთა ჩემპიონატი — U20 Championship

2008-2009	რუსთავი / Rustavi	2011-2012	სოხუმი / Sokhumi	2014-2015	ოლიმპი / Olimpi
2009-2010	რუსთავი / Rustavi	2012-2013	სოხუმი / Sokhumi	2015-2016	სოხუმი / Sokhumi
2010-2011	სტუ / STU	2013-2014	შსს აკადემია/ MIA Academy	2016-2017	ჰიუნდაი / Hyundai

18-წლამდელთა ჩემპიონატი — U18 Championship

2008-2009	აკადემია / Academy	2012-2013	ჰიუნდაი / Hyundai	2015-2016	აკადემია / Academy
2009-2010	აკადემია / Academy	2013-2014	აკადემია / Academy	2016-2017	ზაზა 1 / Zaza 1
2010-2011	სოხუმი / Sokhumi	2014-2015	აკადემია / Academy	2017-2018	ზაზა 1 / Zaza 1
2011-2012	ქუთაისი / Kutaisi				

16-წლამდელთა ჩემპიონატი — U16 Championship

2008-2009	ქუთაისი / Kutaisi	2012-2013	შსს აკადემია / MIA Academy	2015-2016	აკადემია / Academy
2009-2010	ქუთაისი / Kutaisi	2013-2014	აკადემია / Academy	2016-2017	აკადემია / Academy
2010-2011	აკადემია / Academy	2014-2015	ჰიუნდაი / Hyundai	2017-2018	ზაზა აკადემია / Zaza Academy
2011-2012	აკადემია / Academy				

დუდუ დადიანის მემორიალი — Dudu Dadiani Memorial

2002	დინამო / Dinamo	2008	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2013	სოხუმი / Sokhumi
2003	ჯეოსელი / Geocell	2009	ენერჯი / Energy	2014	რუსთავი / Rustavi
2004	სტუ ჯეოსელი / STU Geocell	2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2015	ბარსი (ყაზახეთი) / Barsy
2005	ავიამშენი / TAM	2011	ქუთაისი / Kutaisi	2016	დინამო / Dinamo
2006	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2012	არმია / Army	2017	დინამო / Dinamo
2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest				

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი — Zurab Sakandelidze and Mikheil Qorqia Memorial

2006	რუსთავი / Rustavi	2011	თსუ / TSU	2015	შსს აკადემია / MIA Academy
2007	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2012	არმია / Army	2016	ქუთაისი / Kutaisi
2008	თბილავიამშენი / TAM	2013	ოლიმპი / Olimpi	2017	ქუთაისი / Kutaisi
2009	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2014	დინამო / Dinamo	2018	ქუთაისი / Kutaisi
2010	ენერჯი ინვესტი / Energy Invest				

საქართველოს თასი — Georgian Cup

2003	ბასკო / Basko	2009	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2014	ქუთაისი / Kutaisi
2004	დინამო / Dinamo	2010	სსაუ / SSAU	2015	დინამო / Dinamo
2005	სტუ / GTU	2011	არმია / Army	2016	დინამო / Dinamo
2006	თსუ ნიკორა / TSU Nikora	2012	არმია / Army	2017	ქუთაისი / Kutaisi
2007	თბილავიამშენი / TAM	2013	შსს აკადემია / MIA Academy	2018	ქუთაისი / Kutaisi
2008	თბილავიამშენი / TAM				

სუპერთასი — Supercup

2006	თსუ ნიკორა / TSU Nikora	2010	სსაუ / SSAU	2014	ქუთაისი / Kutaisi
2007	აზოტი / Azot	2011	არმია / Army	2015	შსს აკადემია / MIA Academy
2008	ენერჯი ინვესტი / Energy Invest	2012	არმია / Army	2016	დინამო / Dinamo
2009	ავიამშენი / TAM	2013	ოლიმპი / Olimpi	2017	დინამო / Dinamo

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION IS GRATEFUL FOR COOPERATION

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

თბილისის მერია

FIBA We Are Basketball

Georgian Railway EST. 1872

BORJOMI

HYUNDAI

PSP

ბოდნისა აუდიტორი კონცერტი

ტიფლისტექსი TIFLISTEX

TKT.GE

ალტაოკაი ALTAOKAY

U.S. EMBASSY TBILISI

Government of the United States

jr. nba League

BASKONIA VITORIA GASTEIZ

BERA

TBILISI MALL

PORTS PALACE სპორტის სასახლე

EYBL

საქართველო GEORGIA

WORLDSPORT.GE

SPORTALL.GE

RADIO PALITRA FM 103.9

myvideo

SPORT24

MY.GE

MYAUTO.GE

MYSPORTS.GE

droni.ge

SPORT LINE

ვრცელ.ge

COMMERSANT 95.5 FM

IMEDI.FM RADIO IMEDI

FM ცნობები 98.1

JAK 96.3 FM

ჯგუფური თბილისი FM-95.1

On.ge

adjarasport.com

ქართული კალათბურთის ყველა სიახლე ერთ ვებ-ბვერდზე !

WWW.GBF.GE

ALL NEWS OF GEORGIAN BASKETBALL ON ONE WEBPAGE!

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვებ-გვერდზე ოპერატიულად მიიღებთ ინფორმაციას ქართულ კალათბურთში მიმდინარე ყველა სიახლეზე.

On the webpage of the Basketball National Federation you will receive information about all the novelties in Georgian basketball.





გულშემატკივარს შეუძლია გაეცნოს სუპერლიგის, ა ლიგის და ასაკობრივი ჩემპიონატების შესახებ მუდმივად განახლებულ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს.

Anyone interested is able to receive the updated information and statistical data about the Super League, A League and underage championships.

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ასპარეზობა.

National and underage championships.





3X3 კალათბურთის სიახლეები და 3X3 ნაკრები გუნდების ასპარეზობა საერთაშორისო ტურნირებზე.

News about 3X3 basketball teams and their participation in the international tournaments.













ინფორმაცია ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ.

Any other information regarding various events organized by the Federation.





WWW.GBF.GE



FOLLOW @GBF